პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ბრძოლის ხმა

1934 წ. ოქტომბერი
პარიზი
№ 47
1934 — OCTOBRE
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა :: «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ჟენევაში

საბჭოთა ხელისუფლება შეშინებული აღმოსავლეთით და დასავლეთით მირბის ქუდმოგლეჯილი ჟენევაში და ეხვეწება საერთაშორისო ბურჟუაზიას შველას და დახმარებას. საფრანგეთმა იკისრა მისი მირქმა და ცნობილი ძველი რუსოფილის ბარტუს წინამძღოლობით ლიტვინოვი გამოცხადდა ერთა ლიგის ასპარეზზე. ამ ვაჟბატონმა ჯერ გაიპატიჟა, ქალწულივით უმანკოების სახე მიიღო. თითქოს სრულიად არ აინტერესებს ჟენევა და მხოლოდ ხათრით მიდის ამ მხრით. მაგრამ როცა საქვეყნოთ ჩახადეს, კარგათ გაჯოხეს და შეუკურთხეს, ის მაინც «დიდის სიამოვნებით» სვამს იმ წყაროდან, სადაც თავიდანვე აფურთხებდა. ერთხელ კიდევ საჯაროთ გამოირკვა, რომ ბოლშევიკებს არ აწუხებს არც პრინციპი, არც მორალი, არც პრესტიჟი და ყოველგან და ყოველთვის ხელმძღვანელობს მხოლოდ თავის გადარჩენით.

ამ ბოლშევიკ-ბურჟუაზიის დაქორწინებაში ჩვენ გვაინტერესებდა ერთი საკითხი: ეს ქორწინება არ მომხდარიყო საქართველოს ხარჯზე, არ დადასტურებულიყო ჩვენი ერის ოკუპაცია და მით ერთა ლიგას არ წაელო უკან თავისი წინანდელი რეზოლიუციები ჩვენს შესახებ. ლიტვინოვმა სწორეთ ეს ხაზი აიღო და პირველსავე განცხადებაში მოსკოვს თავისუფლათ აღიარებდა წინანდელი ვალდებულებისაგან. ეს იყო ასე ვთქვათ კერძო განცხადება პოლონეთისათვის მიწერილი. მაგრამ ეს ჟენევაში აღარ გაუვიდა, ძველი თამასუქების დახევა აქ ვეღარ გაბედა და თავის ოფიციალურ დეკლარაციაში სიჩუმე არჩია. ვერ გაუვიდა იმიტომ რომ ამ მხრით ჩატარებულმა მუშაობამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო, საქართველოს საკითხი გამოცოცხლდა და ჟენევის ატმოსფერა სავსებით გაჟღინთა. ეს საკითხი გახდა ის ღერძი, რომლის ირგვლივ ტრიალდება შვეიცარიის საზოგადო აზროვნება და მას ატოკებდა მოსკოვის წინააღმდეგ. შვეიცარიიდან ის გადადიოდა მთელ ევროპის პრესაში და სადაც კი მოსკოვზე დაიწერებოდა, ის მის მოწინააღმდეგე საქართველოც ზედ ერთოდა. ამ კამპანიაში უდიდესი სამსახური გაგვიწია ჟენევის «ინტერნაციონალურ კომიტეტმა საქართველოსათვის», რომლის მეთაურები იმავე დროს დიდათ გავლენიანი პირებია (ჟან მარტენი, ალბერ მალში და სხ.) და რომელთაც თავს იდვეს ჩვენი საქმის დაცვა. ისინი აწარმოებდენ ფართე კამპანიას პრესაში და საზოგადოებაში და მათ აშკარა გავლენის სფეროში მოექცენ როგორც ლიგის წევრები, ისე შვეიცარიის მთავრობა. ამავე დროს არც ბოლშევიკებს ეძინათ. მართალია ამათ ვერსად, ვერც ერთ ორგანოში ვერ გაბედეს გამოსვლა და საჯაროთ საქართველოს საკითხისათვის შებრძოლება. მაგრამ კულისებში ეწეოდენ დიდ აგიტაციას. ისინი არწმუნებდენ ლიგის წევრთ, რომ თუ საქართველოს საკითხი იქნა წამოყენებული, ისინი უარს იტყვიან ლიგაში შესვლაზეო. ეს იყო მათი ულტიმატუმი, რაიცა შთაბეჭდილებას ახდენდა განსაკუთრებით ფრანგებზე. ჩვენ გვგონია რომ ეს ულტიმატუმი არ იყო ლიტვინოვის გამოგონილი, ის უეჭველათ მოდიოდა სტალინიდან. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ლონდონში და პარიზში ამ რამოდენიმე წლის წინეთ მოსკოვის ელჩებმა განუცხადეს ოფიციალურ წრეებს, რომ საქართველოს საქმის მოგვარება ძლიერ ადვილია, მხოლოდ მას ეწინააღმდეგება ჩვენი უფროსი, სტალინი, თვითონ ქართველი, რომელსაც საქართველოს საკითხი თავის პირად საკითხათ მიაჩნიაო. აი ასეთი განცხადება სტალინის დაუსახელებლათ იქნა გაკეთებული ახლაც ლიგის კულისებში და მით დაშინების მოყვარულნი დაშინებული. ამ ხერხმა ვერ გასჭრა შვეიცარიასან, რომელიც ებრძოდა მოსკოვის ლიგაში მიღებას. მოტას სიტყვა, სავსე კომუნისტური რეჟიმის მხილებით და საქართველოს საკითხის დაყენებით, გადაყლაპა როგორც ლიტვინოვმა, ისე მისმა მიმრქმელებმა. ვერც ერთ ამათგანმა ვერ უარყვეს მოტას ბრალდებანი, პირიქით, ბარტუ და მისი მომხრენი, ეთანხმებოდენ მოტას, და აღიარებდენ, ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ ეს მხეცები უნდა დავიახლოვოთ და ჩარჩოში ჩავსვათო. ლოიდ ჯორჯის ცნობილი განცხადება—კაცის მჭამელებთანაც უნდა ვივაჭროთო. ლიტვინოვმა თავის გრძელ, უშნო სიტყვაში, ილაპარაკა ყველაფერზე, გარდა საქართველოისა და თან აღიარა, რომ ის სცნობს ლიგის იურისდიქციას და ემორჩილება მის პაქტს, გარდა ორიოდე უმნიშვნელო გამონაკლისა.

ამ ნაირათ, საქართველოს საკითხი დარჩა ლიგის დღის წესრიგში უკლებლათ, რუსეთი, როგორც ლიგის წევრი, იძულებულია მას ანგარიში გაუწიოს და პასუხი გასცეს. საჭიროა ამისათვის ლიგის წევრთა მიერ მისი დაყენება და მოსკოვისათვის პასუხის მოთხოვნა. ამ პასუხს ის ვეღარ გაექცევა; რამდენათ მას გაუჭირდება, იმდენათ იძულებული გახდება ლიგის იურისდიქციას დაემორჩილოს და მისი განაჩენი მიიღოს. ჟენევა ხდება ჩვენი მუშაობის მთავარ ბაზათ.

საბჭოთა რუსეთის მიღება ლიგაში და საქართველოს საკითხი

ერთა ლიგის სექტემბრის სესიას მთავარ საკითხათ ედგა საბჭოთა კავშირის მიღება თავის წიაღში. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ეს საკითხი დიდ მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა და ეს ასეც მოხდა.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ერთა ლიგა გადაიქცა წმინდა დიპლომატიურ დაწესებულებად, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა კულისების სამზარეულოს ეკუთნის და ყოველივე ის, რაც ლიგის პლენარულ სხდომებზე გამოდის, ძალიან ნაკლებათ გამოხატავს მდგომარეობის ნამდვილ სახეს. საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში მიღების საკითხიც კულისებში მოჭახრაკდა. თავდაპირველად განზრახული იყო ამ მიღებას დიდი ზეიმის ხასიათი მისცემოდა; ამის მოსურნენი იყვენ განსაკუთრებით ევროპის დიდი სახელმწიფოები; მაგრამ მათი ცდა უშედეგო გამოდგა: იმათ შესძლეს საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში შეყვანა, მაგრამ ვერ შესძლეს ეს აქტი ზეიმათ გადაექციათ.

მთელი მსოფლიოს კულტურული ნაწილის საზოგადოებრივი აზრი გაბედულად ალაპარაკდა საბჭოთა ხელისუფლების ერთა ლიგაში დაშვების წინააღმდეგ. პრესამ გამოამზეურა მისი საქმენი საგმირონი და მომაკვდინებელი საბრალმდებულო ოქმი წაუყენა. ბრალდებათა შორის პირველი ადგილი ეკავა საქართველოზე ომის გამოუცხადებლად თავდასხმას და მის დაპყრობას.

როგორც ვიცით, ერთა ლიგას ორჯერ ქონდა მიღებული რეზოლიუცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სასარგებლოთ. ქართველი ერის კანონიერმა წარმომადგენლობამ და ქართველი ხალხის უანგარო მეგობრებმა, ხელი ჩასჭიდეს ამ რეზოლიუციებს და ევროპის საზოგადოებრივი აზრი აამუშავეს დაჩაგრულ ერის სასარგებლოთ; საქართველოს საკითხი, რომელიც ბევრს მოძველებულათ და ინტერესს მოკლებულად მიაჩდა, ისევ აქტუალურ საკითხათ გადაიქცა.

საქართველოს ეროვნულ მთავრობისათვის და პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებისათვის ცხადი იყო, რომ საბჭოთა კავშირს ლიგაში მიიღებდენ,—ამის უტყუარი თავდები იყო ევროპის დღევანდელი მდგომარეობა,—მაგრამ მის მოვალეობას შეადგენდა ყოველივე ეღონა, რომ ეგ აუცილებელი მიღება საქართველოს ხარჯზე არ მომხდარიყო და საქართველოს საკითხი რუსეთის შინაურ საკითხათ არ გადაქცეულიყო. ამ მიზნით თავის დროზე იქნა მიღებული ზომების მთელი რიგი.

ჯერ კიდევ ფოლკსტონში (ინგლისში) გამართულმა ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებათა ინტერნაციონალურმა კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სასარგებლოთ. ამასთანავე გაჩაღდა მუშაობა როგორც დიპლომატიურის გზით, ისე საზოგადოებრივი აზრის დასამუშავებლათ. უპირველესი ამოცანა იყო ყველასათვის ცხადი გამხდარიყო, რომ საბჭოთა კავშირის ლიგაში ურეზერვოდ მიღება ნიშნავდა ერთა ლიგის სტატუტის დარღვევას. ამ მიმართულებით თვალსაჩინო როლი ითამაშა ეროვნულ მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას წერილმა, რომელიც ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა. «მშვიდობიანობის საერთაშორისო საზოგადოების ბიურომ» ეს წერილი—ცალკე გადაბეჭდილი—დაუგზავნა ყველა ქვეყნების საგარეო მინისტრებს თავის მხრით წერილის თანდართვით, რომლითაც მათ ყურადღებას აქცევდა საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილ უსამართლობაზე. ამავე ბიურომ მიიღო რეზოლიუცია საქართველოს სასარგებლოთ და წარუდგინა იგი დასადასტურებლად ერთა ლიგის სესიის წინა დღეებში ლოკარნოში შეკრებილ მშვიდობიანობის საზოგადოებათა ინტერნაციონალურ კონგრესს.

ამ კონგრესს დაესწრენ ჟენევაში არსებულ საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე ცნობილი პროფესორი ბ-ნი ალ. მალში და საქართველოს ეროვნულ მთავრობის რწმუნებული ხ. შავიშვილი. კონგრესმა მცირე შესწორებით მიიღო ბ-ნ მალშის მიერ წარდგენილი რეზოლიუციის პროექტი, რომელსაც ხმა მისცეს ყველა ქვეყნების დელეგატებმა გარდა რუმინიისა და ოსმალეთის. ამ რეზოლიუციაში «მშვიდობიანობის საერთაშორისო მეოცე კონგრესი ემყარება რა თავის წინანდელს რეზოლიუციებს, გამოსთქვამს სურვილს, რომ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა აღდგენილ იქნეს რაც შეიძლება მალე, ერთა ლიგის ფარგალში».

ამასთანავე კონგრესის წევრებმა საჭიროდ დაინახეს გამოეთქვათ მტკიცე იმედი უსამართლობის დაუყონებლივი გამოსწორებისა, რომელიც თუ ასე დარჩა, დიდს ვნებას მიაყენებდა ერთა ლიგის ავტორიტეტს, და შეადგინეს შემდეგი პეტიცია, რომელიც ერთა ლიგას წარუდგინა:

«ვიღებთ რა მხედველობაში, რომ 1) საქართველომ გამოაცხადა თავის დამოუკიდებლობა 1918 წ. 26 მაისს და ეს აქტი დამტკიცებული იყო ერთხმად საყოველთაო არჩევნებით შემდგარ დამფუძნებელი კრების მიერ, 2) წესიერად დადებულ ხელშეკრულობით 1920 წ. 7 მაისს საბჭოთა რუსეთმა «ურეზერვოთ იცნო დამოუკიდებლობა და სუვერენობა საქართველოს სახელმწიფოს და სრული ნებით უარი თქვა ყოველ უფლებაზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს ქართველი ერისა და მის ტერიტორიის მიმართ», 3) საქართველოს დამოუკიდებლობა დე-იურე იყო ცნობილი 1921 წ. 27 იანვარს უმაღლეს საბჭოში შემავალ ყველა სახელმწიფოს მიერ, 4) ერთა ლიგის ყრილობამ ორჯელ 1922 წ. 22 სექ. და 1924 წ. 25 სექ. გამოიტანა რეზოლუციები საქართველოს სასარგებლოთ,

ქვემორე ხელის მომწერნი, წევრნი მშვიდობიანობის საერთაშორისო კონგრესისა, ვუცხადებთ ჩვენს თანაგრძნობას ქართველ ერს და გამოვსთქვამთ იმედს, რომ ს. ს. რ. კავშირის შესვლას ერთა ლიგაში მოყვება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რაც შეიძლება მოკლე დროში.

(ხელს აწერენ 72 კაცი, მთელი ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრის წარმომადგენლნი).

ამის გვერდით შვეიცარიის ყველა გაზეთებში (ფრანგულ, გერმანულ და იტალიანურ ენებზე), გარდა მხოლოდ ერთ—ცნობილ ნიკოლის—ბოლშევიზანურ გაზეთისა, სწარმოებდა ცხარე კამპანია საქართველოს სასარგებლოთ და საბჭოების წინააღმდეგ. ეს კამპანია დაიწყო ჯერ კიდევ იანვარში საქართველოს თავდადებულმა მეგობარმა პროფ. ჟან მარტენმა გაზეთ «Journal de Genève»-ში, შემდეგ საქართველოს საკითხს ხელი ჩასჭიდეს სხვა გაზეთებმაც და მთელი შვეიცარიის საზოგადოებრივი აზრი აამუშავეს საქართველოს სასარგებლოთ. ამ კამპანიის გავლენა ისე ძლიერი იყო, რომ საფრანგეთის საგარეო მინისტრი აწ განსვენებული ბარტუ, რომელიც მთავარი დირიჟორი იყო საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში მიღების საქმის, იძულებული გახდა ჟურნალისტებისათვის განეცხადებია, რომ საქართველოს წინააღმდეგ არც მას აქვს რამე და საბჭოთა რუსეთის მიღება არ ნიშნავს საქართველოს საკითხის წაშლას, როგორც საერთაშორისო საკითხისაო.

თავის დროზე მიღებულმა ზომებმა და იმ ნაბიჯებმა, რომელიც გადადგმულ იქნა ჟენევაში ნ. ჟორდანიას, ევ. გეგეჭკორის, პროფ. ჟან მარტენის, საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტის, მისი თავმჯდომარის პროფ. ალ. მალშისა და ხ. შავიშვილის მიერ, ის თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო, რომ შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა მოტამ თავის შესანიშნავ სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა ერთა ლიგის მეშვიდე კომისიაში, ნათელი და კატეგორიული განმარტება გაუკეთა საქართველოს საკითხს; მან სთქვა, რომ როდესაც საბჭოთა კავშირი «იქნება მიღებული, საბჭო და საერთო კრება იქნებიან დაყენებული რამდენიმე ღიად დარჩენილ საკითხთა წინაშე. საერთო კრების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ გამოტანილი რეზოლიუციები ვერ დაიძინებენ მკვდრის ძილით. სომხეთი, უკრაინა, სხვა ქვეყნები კიდევ იპოვიან გაბედულ პირთ, რომელნიც განაგრძობენ მათ ბედ-იღბალზე ზრუნვას. არ შეიძლება ითქვას: აწი ეგ საკითხები არ დაისმებიან. მთელი მსოფლიოს სიმპატიები თან ახლავთ იმ გმირებს, რომელნიც იცავენ თავის სიცოცხლეს და თავის ბედს. ასეთ კითხვებს ვერ გააბათილებს დროთა მსვლელობა.

ერთა ლიგის სხდომაზე არ გამოჩენილა არც ერთი სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელსაც რამე ეთქვა წინააღმდეგ ამ ნათლათ და კატეგორიულ ფორმით დაყენებულ საკითხისა. ვერც ლიტვინოვმა—მიღების რიტუალის დასრულების შემდეგ წარმოთქმულ თავის საპასუხო სიტყვაში—ვერ გაბედა კრინტი დაეძრა საქართველოს შესახებ და პროტესტი გაეცხადებია იმის გამო, რომ მას დაემუქრენ მოხერხებულ დროს საქართველოს საკითხის წამოყენებით.

მაშასადამე საქართველოს საკითხი საბჭოების ერთა ლიგაში მიღების შემდეგაც რჩება საერთაშორისო საკითხათ; მისი ერთგული დამცველია როგორც ქართველი ერის უცხოეთში გადმოხიზნული კანონიერი წარმომადგენლობა, ისე ქართველი ხალხის უცხოელი მეგობრები. ბევრმა მათგანმა—და მათ შორის ბ-ნმა მოტამ—კიდეც პირადათ აღუთქვეს ნ. ჟორდანიას, რომ ისინი არ დაივიწყებენ საქართველოს საკითხს და პირველ ხელსაყრელ შემთხვევისთანვე წამოაყენებენ მას ერთა ლიგაში.

კარლ კაუცკი

კარლ კაუცკის, 80 წლის შესრულების გამო, მისალმების დეპეშა გაუგზავნა ნ. ჟორდანიამ და კ. გვარჯალაძემ საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის სახელით.

სოციალ-იმპერიალისტები

ეს ერთი ხანია გაზეთ «სოციალისტურ ვესტნიკ»-ში მოკალათებული რუსის მენშევიკები ეწევიან კამპანიას რუსეთის მთლიანობის დასაცავათ და არარუს ეროვნებათა მოსკოვის უღლის ქვეშ ჩასაჭერათ. ამით ისინი საბოლაოთ ჩადგენ საერთოთ რუსეთის ერთ ფრონტში, დაწყებული ფაშისტებით და გათავებული ლიბერალებით. ეს ფრონტი იწყება ემიგრაციით და მიდის მოსკოვამდე, სადაც ბოლშევიკები ამავე მიზანს საქმით თუ წერით მუყაითად ემსახურებიან. ყველა ამ დაჯგუფებათ აქვთ სხვადასხვა მოტივი, მოგეხსენებათ, უმოტივოთ მგელმაც კი არ შეჭამა ციკანი, მაგრამ შეთანხმებულათ დგანან ერთ და იმავე დროშის ქვეშ. ეს არის ბატონობის და ჩაგვრის ლოზუნგი რაიცა მენშევიკების მიერ მიკიბულ-მოკიბულათ და მორცხვათ დღემდის ტარდებოდა. ახლა კი ამათ საქვეყნოთ ჩამოიხადეს პირბადე და უკვე პირდაპირ და გაბედულათ შემოგვიტიეს. მათი ორგანოს 17 სექტემბრის ნომერში მოთავსებულია მოწინავე წერილი, მოძღვნილი საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიისადმი და აღსავსე სიცრუით და ინსინუაციებით. აქ პრინციპი და დანოსი ერთათ არის არეული და ვეღარ გაარჩევ სად იწყება ერთი და სად მეორე. ეტყობათ ჩვენი პარტია მათ ყელში გაჰხდომია და მოსვენებას არ აძლევს. წერილი უფრო გავს ისტერიკას, კივილს, ვიღუპებით, წყეული ქართველი მენშევიკები სახელმწიფოს გვინგრევენო; და, მსგავსათ ძველი რეჟიმის დერჟიმორდას პუბლიცისტებისა და ახალი რეჟიმის ჩეკისტებისა, ყარაულს მოუწოდებენ, დაკარით, გაყარეთ ეს მოთრეულებიო. დანს და მის სექტას ინტერნაციონალი დაუსახავს თავის საბატონო კრებულათ, რომლის გასაღები ხელთ უპყრია. მათი წრიპინი გასაგებია, ინტერნაციონალში მათი საკითხი დასმულია, მათ ანგარიშს სთხოვენ—ვისი წარმომადგენელი ხართო და ახლა ლამობენ ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებით თავისი უსუსურობა, უჯაროთ დარჩენა და მარტოობა დაფარონ.

რას გვაბრალებენ მაინც ეს უჯარო სარდლები? ჩვენ თურმე დიდათ დაგვიშავებია, რომ საერთო კავკასიურ პაქტს ხელი მოვაწერეთ და ჩაგრულ ერთა სოლიდარობა აღვიარეთ. ეს თურმე ეწინააღმდეგება «სოციალიზმს», ალბათ რუსულს, და ამიტომ მათი რუსული გული დიდათ გაიხარებდა კავკასიის ერები, ქრისტიანი და მუსულმანები, ერთიმეორეს დავრეოდით და ძველებურათ ქლეტა გაგვემართა. ჩვენ კარგათ ვიცოდით, რომ რუს იმპერიალისტებს ეს ჩვენი პაქტი არ მოეწონებოდათ და ამის შესაფერი წერილები კიდევაც დაიწერა მათ პრესაში. გაყევი და იბატონე მათი მცნებაა. მაგრამ ამ მათ საერთო ფრონტზე დიდათ გამოირჩევა რუსი მენშევიკები, რომლებიც მიმართავენ არა პატიოსან პოლემიკას, არამედ ფანდებს და ცილისწამებას. მათ აიღეს და მოგვაწერეს ჩვენ ვისაც რა დაუწერია პაქტზე თუ პაქტის გამო, ხოლო ის რაც ჩვენ თვითონ დაგვიწერია, რა კომენტარიები ჩვენ გაგვიკეთებია, ამაზე სდუმან. ე. ი. საქართველოს სოციალდემოკრატიას აფასებენ არა მისი დოკუმენტებით, არა მისი მწერლებით, არამედ სხვა პარტიების და სხვა მწერლების საშუალებით. გაგვიგონია დაბალი ხარისხის კამათი, მაგრამ ასეთი სამარცხვინო არასოდეს.

ჟურნალ «პრომეთე»-ში დაიბეჭდა «პაქტი» და თან ახლავს სხვადასხვა წერილები. ამათ შორის არის ნ. ჟორდანიას წერილი, ჩვენი გაზეთიდან გადაბეჭდილი. დანი და მისი კამპანია ამ ხელმოწერილ წერილს არც კი ეხებიან, სამაგიეროთ მისთვის მიუწერიათ ხელმოუწერელი წერილი დამოუკიდებელი კომიტეტისა. ისინი წარბშეუხრელათ სწერენ: «ნ. ჟორდანია და აკაკი ჩხენკელი ხელს აწერენ პაქტს და დამოუკიდებელი კომიტეტის მიმართვას»-ო. ნამდვილათ კი ამ უკანასკნელს ხელს არავინ არ აწერს. მოგვაწერეს რა ასე უტიფრათ სხვისი დოკუმენტი, რომლის შინაარს ჩვენ აქ არ ვეხებით და რის შედგენაში და გამოქვეყნებაში არც ერთ სოც.-დემოკრატს მონაწილეობა არ მიუღია, მოგვაწერეს აგრეთვე სხვისი—ეს უკვე ხელმოწერილი, წერილი ბ. გ. გვაზავასი. ჩვენ თურმე გავხდით ფაშისტები, მილიტარისტები—ერთი სიტყვით დაგვიტოვებია სოციალიზმის საფუძველი და გადავბარგებულვართ მუსოლინისაკენ. და ყველა ეს ბრალდება აგებულია სხვის წერილზე, სადაც ლაპარაკია არა ჩვენზე და არა ჩვენი სახელით, არამედ ავტორის პირად შეხედულებებზე. რა არის ეს, აქვს ამ ხალხის უტიფრობას საზღვარი? ჩვენ არა ერთი და ორი პარტიული დოკუმენტები გამოგვიქვეყნებია, ჩვენი პრინციპიალური და ტაქტიკური მოსაზრებანი საჯაროთ გამოფენილა, ჩვენი პოზიცია ყველა სადაო საკითხზე—ნაციონალურზე, პოლიტიკურზე, სოციალურზე—ცნობილია, ხოლო «სოც. ვესტნიკ»-ის რედაქცია ყველა ამას გვერდს უხვევს და ნაც.-დემოკრატის ნაწერებით გვაფასებს!

---

[*] ეგ სიტყვა სრულად არის დაბეჭდილი «დამ. საქართ.», № 105.

საკვირელია ის, რომ ეს მათ არც კი უკვირთ, გვაზავა ხომ თქვენი მოკავშირეაო. დიახ, მოკავშირეა, ვართ ერთ ანტიბოლშევიკურ ფრონტში; მაგრამ ნუ თუ ამ უბადრუკთ არ ესმით რომ მოკავშირეობა არ ნიშნავს ერთ-იგივეობას? კოალიცია არის კრებული სხვადასხვა მიმართულების პირთა თუ პარტიათა, რომელთაც თავისი აზრი და პროგრამმა აქვთ და რომელთა შორის კავშირია ერთ რომელიმე საერთო საკითხზე. თუ მოკავშირე ყველაფერზე ჩვენსავით აზროვნობს—ის იქნება ჩვენი ამხანაგი და არა ჩვენი მოკავშირე. სოციალისტური პარტიები ხშირათ შედიან კოალიციაში სხვა პარტიებთან—ბურჟუაზიულთან, კლერიკალებთან და სხ. განა ესენი სოციალისტურათ აზროვნებენ ან იმყოფებიან ჩვენი ინტერნაციონალის კონტროლის ქვეშ? ჯერ ეს პოლიტიკური ანბანი გაიკვეთონ რუს-მენშევიკებმა და შემდეგ გამართონ რთულ პოლიტიკურ პრობლემებზე საჯაროთ ბაასი.

ამდენი ცილისწამება, ამდენი გამოგონება და მიკიბვ-მოკიბვა იმიტომაა რომ დაფარონ ნამდვილი სადაო საკითხი, მიაფუჩეჩონ თავისი რუსული იმპერიალიზმი და თავს მოგვახვიონ თავისი ნაცოდვილევი ფედერალიზმი, მსგავსათ პ. მილიუკოვის პროგრამისა. ამათ შორის ერთი დიდი განსხვავებაა: მილიუკოვისათვის—ეს არის ნაბიჯი წინ გადადგმული, ხოლო დანისათვის ნაბიჯი უკან გადადგმული. რუსის ლიბერალები არასოდეს არ იცავდენ ჩვენს დამოუკიდებლობას, რუსის მენშევიკები კი გვიცავდენ თავიდანვე, ეს საჯაროთ განაცხადა მათმა დელეგატმა პ. აქსელროდმა 1919 წ. ინტერნაციონალის ყრილობაზე ბერნში, მათ ხელი მოაწერეს ჰამბურგის კონგრესის რეზოლიუციას 1923 წ. და ყველა შემდეგ რეზოლიუციებს საქართველოს განთავისუფლების შესახებ, ხოლო ახლა კი ყველა ეს დაივიწყეს, ყველა დაპირებანი უკან წაიღეს და მათ ალაგას ლიბერალების დაპირებანი წამოგვიყენეს; ეს არის თურმე ნამდვილი სოციალისტური გადაჭრა ნაციონალური საკითხისა. არ გაემტყუნებათ, კარგა ხანია დაკარგეს საკუთარი პოლიტიკური პასპორტი და იძულებულნი არიან ლიბერალების და ბოლშევიკების ორღობეში ებადუნონ.

სწორეთ სამწუხაროთ მიგვაჩნია ასე დაბლა დაშვება რუსის სოც.-დემოკრატიის იმ ნაშთის, რომელთანაც ერთხელ ერთ პარტიაში ვიყავით და ერთათ ვიბრძოდით. ასე ემართება ყველა ემიგრანტულ ჯგუფს, რომელიც მოწყვეტილია თავის ქვეყანას, არ ყავს პარტია და ორგანიზაცია სამშობლოში, არ იღებს არავითარ დირექტივას, არ ეკავშირება ცოცხალ, მოქმედ ხალხს და ამიტომ ხდება უნიადაგო, უჯარო გარიყულ სექტათ.

ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ და ამის საბუთებიც გვაქვს, რომ მებრძოლს და დევნილს რუსის მენშევიკებს რუსეთში მაღლა უჭირავთ ძველი მენშევიზმის დროშა და არასოდეს არ ჩამოქვეითდებიან ბოლშევიკურ მეთოდებამდე.

◆

საერთო ფრონტი

1933 წლის თებერვალში სოციალისტური ინტერნაციონალი მიმართავდა ყველა ქვეყნების პროლეტარიატს შეეწყვიტათ ერთმანეთ შორის ბრძოლა და თავდასხმები და საერთო ძალებით ებრძოლათ ფაშიზმის და ომის საშიშროების წინაალმდეგ. და ამ მიზნით ის მესამე ინტერნაციონალთან მოლაპარაკების სურვილსაც კი აცხადებდა.

კომინტერნმა წაიყრუა, სიტყვა ბანზე აგდო და სოციალისტურ ინტერნაციონალს პირდაპირ არ უპასუხა. მაგრამ ამავე დროს კი სოციალისტურ პარტიების წინაალმდეგ სამოქმედოთ და სახელმძღვანელოთ თავის ნაციონალურ სექციებს ფრიად დემაგოგიური ხასიათის დირექტივები დაუგზავნა.

ამის შემდეგ ინტერნაციონალის ეკზეკუტივმა ურჩია მასში შემავალ სოციალისტურ პარტიებს «თავი შეეკავებიათ კომუნისტებთან ყოველგვარ სეპარატიულ მოლაპარაკებებისაგან».

მიუხედავათ ინტერნაციონალის ამ დადგენილებისა, საფრანგეთის პარტიამ გამართა სეპარატიული მოლაპარაკება კომუნისტებთან და მათთან ერთათ ხელი მოაწერეს ეგრეთ წოდებულ თავდაუსხმელობის პაქტს.

სანამ კიდევ ორივე მხარე თათბირობდენ შეთანხმების მუხლების შესახებ, რომელიც სოციალისტური პარტიის ნაციონალურ საბჭოს უნდა წარდგენოდა განსახილველათ, კომუნისტებმა წინასწარ განუცხადეს სოციალისტებს, რომ ისინი მიიღებდენ საბჭოს მიერ წამოყენებულ ყველა პირობებს. ეს მართლადაც ასე მოხდა, რასაც ამტკიცებს თვით პაქტის ზოგი მუხლები, რომლის გაგონებაც კი არ უნდოდათ წინეთ კომუნისტებს და რაზედაც ეხლა ასე ადვილათ დასთანხმდენ. ასეთი მუხლებია, მაგალითად, «დემოკრატიული თავისუფლებების დაცვა», «პროპორციონალურ წარმომადგენლობის შემოღება», პარლამენტის არჩევნები და საერთო გამოსვლების დროს ერთმანეთ შორის თავდასხმებზე და ლანძღვა-გინებაზე ხელის აღება.

კომუნისტების ასეთ მოულოდნელ საქციელმა ბევრში გაკვირვება გამოიწვია და ბუნებრივათ კითხვა დაიბადა, თუ რას ნიშნავდა ეს? ზოგს მოეჩვენა, რომ ეს იყო გამოწვეული კომუნისტების გონზე მოსვლით, მათ მიერ ფაშიზმის საშიშროების შეგნებით და რესპუბლიკანური დემოკრატიის მნიშვნელობის და საჭიროების ცნობით. ან და ვითომც ბოლშევიკებს სურდეთ თავიდან მოიცილონ და ლიკვიდაცია უყონ ევროპის კომუნისტურ პარტიებს, რომელნიც მათ ასე ძვირათ უჯდებათ, მოახდინონ სერიოზული გარდატეხა მათ დიქტატორულ პოლიტიკაში და გულწრფელად შედგენ მუშათა მოძრაობის გაერთიანების გზაზე.

მაგრამ ვისაც თვალყური უდევნებია ბოლშევიკების საქმიანობისათვის და ვინც იცნობს კარგათ მათ ბუნებას, მისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ბოლშევიკების პოლიტიკის შესახებ ზემოთ მოყვანილი აზრები უაღრესათ შემცდარია.

«საერთო ფრონტის» გამო ბოლშევიკების მიერ აღებული დღევანდელი ხაზი გამოწვეულია აღმოსავლეთით. თუ დასავლეთით ომის საშიშროებით და პირდაპირ ნაკარნახევია საბჭოთა დიპლომატიის ინტერესებით. ბოლშევიკებისათვის «საერთო ფრონტს» აქვს მხოლოთ დროებითი და ეპიზოდიური ხასიათი და სავსეა მანიოვრების ფარული ზრახვებით. ამ მათ ზრახვებს ისინი ანხორციელებენ ფრანგ სოციალისტებთან პაქტის დადების შემდეგაც.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ნაციონალური საბჭოს კრებაზე 15 ივლისს პარტიის ლიდერი—ბლუმი აცხადებდა, რომ პარტია იტოვებდა სრულ თავისუფლებას კრიტიკისა და შეფასებისა ყოველივე იმისა, თუ რა ხდებოდა საბჭოთა კავშირში. სინამდვილეში კი სულ სხვა რამეებს აქვს ადგილი.

24 აგვისტოს პარიზში სოციალისტების და კომუნისტების მიერ მოწვეულ იქნა საერთო კრება მიტინგი, სადაც იაპონიის საომარ აგრესიობის საშიშროებაზე იყო ლაპარაკი. ბულიეს დარბაზში 10.000 მსმენელის წინაშე ერთათ გამოდიოდენ სალაპარაკოთ კომუნისტები და სოციალისტები; ამ უკანასკნელთა შორის იყო აგრეთვე პარტიის გენერალური მდივანი—პოლ ფორი. დაბოლოს ერთხმათ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც პროტესტს აცხადებენ ომის და იაპონიის იმპერიალისტური ზრახვების წინაალმდეგ. მაგრამ ამავე დროს ამავე რეზოლიუციაში არის ასეთი ადგილი:

«საბჭოთა კავშირი, სადაც გამარჯვებულ რევოლიუციამ შესაძლებლათ გახადა სოციალიზმის განხორციელება, არის მთელი მსოფლიოს მუშათა სამშობლო»...

ან და კიდევ შემდეგი აბზაცი:

. . . . «ამნაირათ სხვადასხვა ქვეყნების კაპიტალისტთა და ფაშისტთა სოლიდარობა, სოციალიზმის ტრიუმფის (საბჭოთა კავშირში კ. გ.) წინაალმდეგ, კიდევ ერთხელ ყველასათვის ნათელი ხდება»...

როგორც ხედავთ, საბჭოთა კავშირში თურმე სოციალიზმი განხორციელებულა და იქ მისი ტრიუმფის მოწმენი ვყოფილვართ. და ასეთი შინაარსის, კომუნისტების მიერ შედგენილ, რეზოლიუციას პოლ ფორის და ზირომსკის მეთაურობით ხმას აძლევს კრების მთელი სოციალისტური ნაწილიც.

დღემდინ ფრანგი სოციალისტები გაიძახოდენ, რომ ის, რაც ხდება საბჭოთა კავშირში სრულიადაც სოციალიზმი არ არის, არამედ უბრალო—სახელმწიფო კაპიტალიზმიაო, და ამაზე ისინი ხშირათ წერდენ თავიანთ გაზეთ—«პოპულერში». ეხლა კი წინაალმდეგს ამბობენ და კომუნისტების მიერ ათასჯერ გადაღეჭილ რამეებს იმეორებენ. ხდება იდეალიზაცია საბჭოთა რეჟიმისა და «საერთო ფრონტში» პოლიტიკური ხელმძღვანელობა კომუნისტების ხელში გადადის. ამას კი უთუოთ მოყვება საშუალო კლასების და გლეხობის დაშინება, მათი სოციალისტებისაგან ჩამოცილება და მემარჯვენეების ბანაკში გადავარდნა. ასეთია კომუნისტებთან «საერთო ფრონტის» ლოღიკა და მათი მანიოვრების შედეგი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთო ფრონტის საკითხი თვით საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში არ არსებობს ერთსულოვანება. სხვათა შორის ცენტრალური ორგანოების პოზიციას არ იზიარებს თეორეტიული და მარქსისტული ჟურნალი—«ლე კომბა მარქსისტ». ამ ჟურნალში ბევრი იწერება საბჭოთა კავშირზე და მისი ცხოვრების პოლიტიკურ და ეკონომიურ მხარეებზე. მის თანამშრომელთ არ სწამთ შესაძლებლობა ბოლშევიკების ევოლიუციისა და მუშათა მოძრაობის მთლიანობის ფერხულში მათი გულწრფელათ ჩადგომა.

ფრანგ სოციალისტების და კომუნისტების შორის «საერთო ფრონტის» გამო გაზეთ «პოპულერმა» მიიღო საბჭოთა რუსეთიდან (ყაზანიდან) რუს მენშევიკების—გურევიჩის, ეჟოვის და ზახაროვას მიერ ხელმოწერილი დეპეშა, რომელშიდაც ისინი ესალმებიან ამ აქტს და იმედს გამოსთქვამენ, რომ ფრანგების მაგალითს მთელი მუშათა საერთაშორისო მოძრაობა მიბაძავსო.

თუ ყაზანელების დეპეშა არ არის პირდაპირი ინსპირაცია მათი საზღვარგარეთელ ბოლშევიზან მეგობრებისა, მაშინ ეს მათი დეპეშა აგებულია მუშათა საერთაშორისო მოძრაობის მდგომარეობის სრულ უცოდინარობაზე და დიდ ილუზიებზე.

რუს მენშევიკებს გონიათ და იმედს გამოსთქვამენ, რომ ფრანგების მაგალითს სხვა ქვეყნების მუშებიც წაბაძვენ და ამ გზით ყოველგან «საერთო ფრონტი» დამყარდება. სინამდვილეში ვხედავთ კი სულ საწინააღმდეგო მოვლენას: ფრანგ სოციალისტების პოზიცია არ გაიზიარა ინტერნაციონალის მთავარ სექციებმა და მათ უარი სთქვეს კომუნისტებთან რაიმე საერთო მოქმედებაზე.

დიდი ბრიტანეთის მუშათა მოძრაობის ნაციონალურ საბჭომ, რომელიც აერთიანებს ტრედუნიონებს, მუშათა პარტიას და საპარლამენტო მუშათა ფრაქციას კოოპერატივების დელეგაციასთან შეთანხმებით 24 ივლისს მიიღო დადგენილება, რომლითაც კატეგორიულათ უარყოფილია კომუნისტებთან «საერთო ფრონტი» და მათთან რაიმე პაქტის დადება. ასეთივე ხასიათის დადგენილება იქნა მიღებული ამას წინეთ ტრედუნიონების და მუშათა პარტიის კონგრესების მიერ.

დაახლოვებით ამავე რიცხვებში შვეციის, დანიის და ჰოლანდიის სოციალისტურ პარტიებმა გამოსთქვეს თავიანთი აზრი კომუნისტებისადმი დამოკიდებულების საკითხის შესახებ. ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ კომუნისტები სოციალისტებზე თავდასხმებით, თუ ფაშისტებთან კავშირით უნერგავენ ხალხს დემოკრატიისადმი სიძულვილს და ძირს უთხრიან დემოკრატიულ თავისუფლებას, რასაც პირველ ყოვლისა უნდა იცავდეს მუშათა კლასი. დიქტატურის მომხრეებთან ჩვენ საერთო გზა არა გვაქვსო.

კიდევ 14 ივლისს კომუნისტების მიერ წარდგენილ «საერთო ფრონტის» წინადადებაზე ჩეხურ და გერმანულ სოციალდემოკრატიამ ჩეხოსლოვაკიაში მათ შემდეგი პასუხი გასცეს: «თქვენი ეხლანდელი წინადადება არის გაგრძელება იმ მრავალწლიანი მანიოვრებისა, რომლითაც თქვენ, «საერთო ფრონტის» ცრუ სახით, სწამლავდით და აღრმავებდით უთანხმოებას მუშათა კლასში. როგორც დღემდინ, ჩვენ ასეთ თქვენ მანიოვრებს სასტიკათ შევებრძოლებითო».

ბოლშევიზანურ პოლიტიკით უკმაყოფილო ბელგიის პარტიის მემარცხენე ფრთის, პროფესიონალური კავშირების ბიურომ რომელსაც სპააკი მეთაურობს, ამას წინეთ მიმართა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს პროტესტით და გაფრთხილებით, რომ თუ ის ამ ბოლშევიზანებს წესრიგისაკენ არ მოუწოდებდა და მათ ერთნაირ კალაპოტში არ ჩააყენებდა, ბიურო შესაფერ დასკვნებს გააკეთებდა და სათანადო ნაბიჯებსაც გადადგამდა. ცენტრალური კომიტეტი ამ განცხადებას დიდი თანაგრძნობით და ყურადღებით მოეპყრო და დაადგინა, რომ ამ ბოლშევიზანების პოლიტიკა პარტიის მთავარ ხაზს არ ეთანხმება და მისგან დიდათ განსხვავდება. მან ეს საკითხი განსახილველათ და საბოლაო მსჯავრის გამოსატანათ დასვა პარტიის მომავალ კონგრესის დღის წესრიგში.

კომუნისტებთან საერთო ფრონტი უარყო აგრეთვე შვეიცარიის სოც.-პარტიამ.

დემოკრატიულ ქვეყნებში კომუნისტები სოციალისტებს «საერთო ფრონტის» წინადადებას აძლევენ და ურთიერთ შორის პაქტის დადებას ემუდარებიან. ფაშისტურ და დიქტატურის ქვეყნებში, როგორიც არის, მაგალითად, გერმანია, ავსტრია, ესტონია, ლატვია და სხვა, კომუნისტები კი სოციალისტებს სასტიკათ ებრძვიან და ყოველგან მუშათა კლასში გეგემონიისთვის იბრძვიან. აქედან ნათლათ მოსჩანს მათი ორმაგი პოლიტიკა, არაგულწრფელობა და სამანიოვრო ზრახვები.

როგორია «საერთო ფრონტის» მდგომარეობა თვით საბჭოთა რუსეთში?

ამ რამოდენიმე კვირის წინეთ ბლუმი ერთ თავის მოწინავეში ამბობდა, რომ მას იმედი ქონდა მოსკოვი რუსეთის დღევანდელ რთულ მდაომარეობას მეტი სიფრთხილით შეხვდებოდა და მუშათა მოძრაობის მთლიანობას პირველ ყოვლისა საბჭოთა კავშირში განახორციელებდა. შემდეგ კი ეს მთლიანობა მთელ ევროპას მოედებოდაო. ეს ასე არ მოხდა. ეხლა მოსალოდნელია წინაალმდეგი პროცესი: სოციალისტურ-კომუნისტური ფრონტის გაერთიანება ევროპიდან საბჭოთა კავშირისაკენ დაეშვასო.

ასეთი ილლუზია აქვს აგრეთვე ზოგ რუს ემიგრანტ მენშევიკებს დანის მეთაურობით. საფრანგეთის პარტიის 15 ივლისის ნაციონალური საბჭოს კრებაზე ზირომსკის მიერ გამოთქმულ კმაყოფილებას, რომ კომუნისტებთან ფრონტის შესაკვრელათ რუსი სოციალისტები პირობებს არ გვიყენებენო, ნიშნათ თანხმობისა, თავის ქნევით უპასუხებდენ დანი და აბრამოვიჩი. ამ უკანასკნელთ კი ასეთი დავალება არ ქონია არც ყველა რუს ემიგრანტ მენშევიკებისაგან და არც რუსეთის ციხეებში გამომწყვდეულ ათასეულ რუს სოციალისტებისაგან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ყაზანელ მათ ახლო მეგობართ და ნათესავთ. საბჭოთა კავშირში მომუშავე სხვა სოციალისტური პარტიების აზრს კი დანი და აბრამოვიჩი ვერ გამოხატავენ და ისინი მათი პოზიციიდან დიამეტრალურათ განსხვავდებიან.

სჩანს ბლუმის, ზირომსკის და დანის მოლოდინს იზიარებენ ეჟოვ-ზახაროვა და გურევიჩი, როცა ისინი ყაზანიდან იწერებიან, ვიმედოვნებთ, ფრანგების მაგალითს მთელი მუშათა საერთაშორისო მოძრაობა მიბაძავსო.

ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ იმის ფაქტები, თუ რა ცუდი პერსპექტივა აქვს მუშათა მოძრაობის «საერთო ფრონტს» თვით ევროპაში.

რაც შეეხება იმას, რომ რუსეთის კომუნისტური პარტია მიბაძავს ფრანგების მაგალითს, «საერთო ფრონტის» ინტერესებით «გამსჭვალული» აღადგენს რუსეთში სამოქალაქო თავისუფლებებს, უარს იტყვის ტერორისტულ დიქტატურაზე, შემოიღებს ხალხურ მართველობას და საშუალებას მისცემს საბჭოთა კავშირში დღეს არალეგალურათ მომუშავე სოციალისტურ პარტიებს ლეგალურათ აწარმოვონ თავიანთი იდეოლოგიის პროპაგანდა თავის რიგების გასამრავლებლათ და გასაძლიერებლათ, ეს არის უბრალო უტოპია და ილლუზია და მეტი არაფერი.

ტირანები და დიქტატორები თავიანთ ბატონობაზე არასოდეს უარს ,თვითონ არ ამბობენ, ისინი მუდამ წაღეკილ იყვნენ ფართე ხალხოსნურ მოძრაობით და შეტევით. ისინი ადგილს სხვებს მხოლოთ ამის შემდეგ უთმობდენ.

პ. გვარჯალაძე.

◆

ა. ნ. პოტრესოვი

გასულ ზაფხულზე პარიზში გარდაიცვალა ა. პოტრესოვი. ის რუსეთის სოც.-დემოკრატიის ერთი დამაარსებელთაგანი იყო და ორმოცი წლის განმავლობაში მთელი თავისი ნიჭი, გამოცდილება და ენერგია მის სამსახურს შესწირა და შეალია. ის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა 1894-5 წლებში, როგორც მონაწილე იმ წრისა, რომელმაც «თავისუფალ ეკონომიური საზოგადოების» კრებებზე პეტროგრადში კამათის დროს სასტიკათ დაამარცხა ტრადიციული ნაროდნიკული იდეოლოგია და მარქსიზმს ინტელიგენციის შორის დიდი გამარჯვება მოუპოვა.

პოტრესოვი, მწერლობაში «სტაროვერის» ფსევდონიმით ცნობილი, პლეხანოვის და აქსელროდის ერთ-ერთ საუკეთესო მოწაფეთ ითვლებოდა და მისი ცდის, დაჯინების და მუშაობის შედეგი იყო ის, რომ ლეგალურათ გამოცემულ იქნა პლეხანოვის ისეთი ნაწარმოები, როგორიც არის «მონისტური შეხედულება ისტორიაზე» და «ნაროდნიკული მოძღვრების დასაბუთება ვორონცოვის შრომებში» და რომელთაც დიდი ისტორიული როლი ითამაშეს.

პოტრესოვი მარტოვთან ერთათ იმ მცირერიცხოვან პირთ ეკუთვნოდენ, რომელთა რუსეთში პეტროგრადში «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი»-ს სახელწოდებით პირველი სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია დაარსეს. ეს არალეგალური ორგანიზაცია იყო, რომ 1896-97 წლებში მუშათა დიდ გაფიცვებს ხელმძღვანელობდა. პოტრესოვის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მოხსენება—«ბრძოლის კავშირი», რომელიც 1896 წელში ლონდონის ინტერნაციონალურ კონგრესს წარედგინა.

1901 წელს პოტრესოვი შეუერთდა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს (პლეხანოვი, აქსელროდი, ზასულიჩი, დეიჩი) და მათთან ერთათ დაარსა სოც.-დემოკრატიული გაზეთი «ისკრა», რომელმაც ფრიად თვალსაჩინო როლი ითამაშა 1905 წლის რევოლიუციის მომზადებაში.

«ისკრის» ფურცლებზე პოტრესოვი ანვითარებდა იმ დებულებას, რომ რუსეთის სოც.-დემოკრატიის სულიერ მამებათ უნდა ცნობილ იქნან არა ბურჟუაზიული ეკონომისტები, როგორც ამას ამტკიცებდა მაშინ ლენინი თავის ცნობილ წერილში—«რომელ მემკვიდრეობაზე ვამბობთ ჩვენ უარს», არამედ 60 და 70-ანი წლების რევოლიუციონერები, ახალ ისტორიულ პირობებში მათი შესაფერისი გაგებით. ამავე დროს მუშათა კლასის თვითმოქმედება იყო ის პრინციპი, რომლითაც პოტრესოვი მუდმივათ და გარდაუვალათ ხელმძღვანელობდა როგორც მწერლობაში, ისე მთელ მის პრაქტიკულ მოღვაწეობაში. ამიტომ უბრალო შემთხვევა არ იყო, როცა 1903 წელს პოტრესოვი მენშევიკებთან პირველ რიგში აღმოჩნდა და სხვებთან ერთათ ლენინის ბონაპარტისტულ ცენტრალიზმის წინაალმდეგ სასტიკათ გაილაშქრა.

1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ ის მხურვალე მონაწილეობას იღებდა ლეგალურ მენშევიკურ გამოცემებში. 1908 წელში მან მარტოვთან და მასლოვთან ერთათ გამოაქვეყნეს ოთხ ტომიანი შრომა 1905 წლის რევოლიუციის შესახებ.—«სოციალური მოძრაობა რუსეთში მეოცე საუკუნის დასაწყისში»-ს სახელწოდებით.

სხვა მენშევიკებთან ერთათ პოტრესოვი მუდამ იცავდა იმ აზრს, რომ შეუძლებელი და არა მიზანშეწონილი იყო ყველა ბურჟუაზიულ პარტიების ერთ რეაქციონურ მასსათ გამოცხადება; მიუღებელი იყო აგრეთვე მისთვის სოც.-დემოკრატიული პარტიის გათქვეფა საერთო ნაციონალურ ლიბერალურ და დემოკრატიულ ბლოკში.

დიდი ომის დროს პოტრესოვი სასტიკათ ილაშქრებდა წინაალმდეგ მარტოვის «ინტერნაციონალისტურ» მიმართულებისა, რომელიც მენშევიზმის ტრადიციულ ტაქტიკურ შეხედულობას ბურჟუაზიულ ლიბერალიზმის შესახებ რევიზიას უშვებოდა. და როცა 25 ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალების შემდეგ მენშევიკურ პარტიაში მარტოვის მიმართულებამ გაიმარჯვა და ბოლშევიკებთან შეთანხმების ხაზს დაადგა, პოტრესოვმა ეს ლენინის და ბოლშევიზმის წინაშე კაპიტულიაციათ ჩასთვალა და მენშევიკურ პარტიის რიგებიდან გავიდა.

პოტრესოვი ემიგრაციაში 1925 წელში ჩამოვიდა. აქ ის სცემდა ჟურნალს—«სოც.-დემოკრატის შენიშვნები», სადაც მთელი თავისი ძალღონით ბოლშევიკების დიქტატურა-ტირანიას ებრძოდა, ააშკარავებდა მათი «სოციალიზმის» სიყალბეს და ყველას მოუწოდებდა მათთან რაიმე კავშირის, თუ შეთანხმების წინაალმდეგ.

ბოლშევიკურ დიქტატურის დაფასებაში პოტრესოვი სავსებით ეთანხმებოდა აქსელროდს და კაუცკის. როგორც ეს უკანასკნელნი, ისე ისიც ამ დიქტატურაში არ ხედავდა არავითარ რევოლიუციას, არამედ სახავდა მას რეაქციის ერთ ფორმათ. პოტრესოვს არ სწამდა შესაძლებლობა დიქტატურის დემოკრატიულ ევოლიუციისა. ის ერთათ ერთ გამოსავალს ბოლშევიკურ დიქტატურის ფართე ხალხოსნურ მოძრაობით გადაგდებაში ხედავდა.

პოტრესოვი საყოველთაო ცნობილი იყო, როგორც გამოჩენილი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი. მაგრამ ამავე დროს მისი დიდი ადამიანობა, მორალი და კეთილშობილება მისი სასტიკ მოწინააღმდეგეთათვისაც კი უდავო და თვალსაჩინო იყო.

პოტრესოვი მთლიანი რუსეთის მომხრე იყო. მას სურდა, რომ ქართველი ხალხი თავის სურვილით რუსეთის ფედერაციაში დარჩენილიყო. მაგრამ თუ ამავე ხალხის სურვილი კი იქნებოდა, რომ ის რუსეთიდან სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალი ყოფილიყო, ასეთ შემთხვევაში ის საქართველოს დამოუკიდებლობას მხარს უჭერდა. და როცა დანმა და მისმა მომხრეებმა საქართველოს საკითხში პოზიცია შეიცვალეს და ინტერნაციონალის, თუ თავისი პარტიის მიერ წინეთ მიღებულ რეზოლიუციებს ახალი კომენტარიების კეთება დაუწყეს, პოტრესოვს მათი ასეთი საქციელი მეტათ აღელვებდა და აღშფოთებდა.

პ. შ.

◆

საქართველოს ხორცმეტნი

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს ჩვენს ორგანოში, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ნიადაგზე უნდა იყოს შემდგარი ერთი მჭიდრო ფრონტი ჩვენი ქვეყნის თავისუფლების დამცველთა ყველა პარტიის და წრისგან. ყველა დიდ გაჭირვების დროს ამ ზომას მიმართავენ არა მარტო პატარა და სუსტი ერები, არამედ დიდი სახელმწიფოებიც. ერს, რომელსაც გარეთ ერთი პოლიტიკური სახე არ აქვს, ერი არ არის. ქართველ ერს არასოდეს არ დადგომია ისეთი გაჭირვება და ძალმომრეობა, როგორიც დღეს ადგია. ის შიგნით სავსებით გამთელებულია პოლიტიკურათ და ფსიქოლოგიურათ. იქ არ არის შინაგანი ბრძოლა და ერთიმეორის წინაალმდეგ დაპირდაპირება. მტერი ერთია, ერი ერთია.

სულ სხვაა ემიგრაციაში. აქაურ ზოგ ქართულ გამოცემებს რომ დახედავთ გეგონებათ საქართველოს არავითარი მტერი არ ყავს, ის დალხინებულია და თავისუფალია და მხოლოდ მთავარი თავსატეხი საგანი ყოფილა შინაური საკითხები, პარტიათა ბრძოლა და ერთი მეორის ძირის გამოთხრა. აიღეთ «გუშაგი», «თეთრი გიორგი», «კლდე» და სხვა მათი ამყოლი ფინიები და დაინახავთ მათ შეერთებულ იერიშებს. ვისზე? არა მტერზე, არა მოსკოვზე, არამედ საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ს.-დემ. პარტიაზე, ნაციონალურ მთავრობაზე და მის დამხმარე პარტიათა კოალიციაზე. მათი მთავარი მიზანია დაცემა არა საოკუპაციო ხელისუფლების, არამედ მასთან მებრძოლის ქართული ორგანოების. ეს უმაგალითო, ზურგში მახვილის ჩაცემა რომ მარტო პრესაში ხდებოდეს, კიდევ ნახევარი ჭირი იქნებოდა, აშკარათ თქმულის დაფასება ყველა თვალახილულისათვის ადვილია. მაგრამ ეს ვაჟბატონები არ კმაყოფილდებიან ღია შემოტევით და მიმართავენ უცხოელთა წინაშე საიდუმლო დანოსებს, ჩუმჩუმათ დაბეზღებას, სახელის გატეხას, ბნელეთის მოციქულნი ბნელი საშვალებით ჩვენი საქმეების ჩაწიხვლას. ძველი ამბავი მოსაგონიც არ არის; წინეთ უკმაყოფილო ქართველები ცხადათ გარბოდენ სპარსეთის თუ რუსეთის წინაშე და იქიდან უცხოელთ ეპატიჟებოდენ შინაური ანგარიშის გასასწორებლათ. დღეს კი ამავე მიზანს ემსახურებიან ჩუმათ, გაძრომ-გამოძრომით, გარეშეთა რწმუნებით—ნაც.-მთავრობას არაფერი დაუჯეროთ, არ დაეხმაროთ,

ჩვენ ვართ რაც ვართო, პატრიოტიზმის სამოსელში გახვეულნი აკეთებენ მოსკოვის საქმეს.

ეს ერთი ფრონტის გარღვევა და მტრის წისქვილზე წყლის მიშვება დაიწყო,არა აქ, ემიგრაციაში; ის მოდის საქართველოდან, ის დაიწყო ჩვენი დამოუკიდებლობის დროს, როცა ირგვლივ მტერი გვესეოდა და მოსვენება არ გვქონდა. როგორც კი იფეთქა რევოლიუციამ ნაციონალური საკითხების მოსაწესრიგებლათ ჩვენში დაარსდა ერთი ფრონტი, ნაციონალური საბჭოს სახელით, სადაც შედიოდენ ყველა ქართული პარტიები, გარდა ბოლშევიკებისა, რასაკვირველია. როგორც კი გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ეგევე კოალიცია გაგრძელდა და შედგა მთავრობა ყველა პარტიათა მონაწილეობით. მაგრამ გამოჩნდა რომ ნაც.-დემ. პარტიაში ყოფილა ორი ფრთა: მარცხენა, ნამდვილი დემოკრატები და პატრიოტები, კულტურული და დამსახურებული მოღვაწენი, და მარჯვენა, უწარსულო და უსაქმო ახალგაზდები, დემოკრატიისგან ძალიან შორს მდგარნი და მხოლოდ ხელისუფლების საკუთრათ თავისთვის მაძიებელნი. იმ დროს, როცა პირველნი მთავრობაში იღებდენ მონაწილეობას და ქვეყნის საქმეებს აკეთებდენ, მეორენი შეთქმულებებს აწყობდენ იმავე მთავრობის გასარეკათ და უცხო ჯარის საშვალებით ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ. იმ დროს, როცა პირველთან ერთად აგრარულ რეფორმებს ვატარებდით და ამით ერის თავისუფლებას ძირს უმაგრებდით, მეორენი თავზე გვესხმოდენ პარლამენტში თუ პარლამენტის გარეთ და იცავდენ ძველ დროგადასულ საბატონო მიწათმფლობელობას (იხ. 1918 წ. პარლამენ. 18 ივნისის სხდომების ანგარიშები).

როგორც კი საქართველო დაეცა და ესენი გამოიხიზნენ, ძველ გზას შეუდგენ და თუმცა აქ გასაყოფი არაფერი გვქონდა, მორიელივით კბენა განაგრძეს. რამდენი საბუთებია დაგროვილი მათი მუხანათური მუშაობის შესახებ. ერთი ამათგანი ამას წინათ კ. გვარჯალაძემ ჩვენს გაზეთში დაასახელა. ისინი გვაბეზღებდენ არა მარტო სტამბოლში, არამედ ლონდონშიაც და ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებოდათ. უცხოელნი იყვნენ აღშფოთებულნი მათი ქცევით და მაშინვე მათ დანოსებს ჩვენს წარმომადგენლებს აცნობებდენ. უცხო სახელმწიფოთ სურდათ ჩვენს მთავრობასთან საქმის დაჭერა; კედია და მისი ამქარნი კი წინააღმდეგს ურჩევდენ და ყველანაირ კავშირის გაწყვეტას ჩვენ წარმომადგენლობასთან. ისინი იყვნენ და არიან სამოქალაქო ომის მოციქულნი. მათი ფიზიონომია უცხოეთში სავსებით გამოაშკარავდა და ნაც.-დემოკ. პარტიის დროშის ქვეშ მათი გაჩერება შეუძლებელი გახდა. პარტიაში მოხდა დიფერენციაცია, სალი ელემენტები გამოეთიშენ და დაარსეს ცალკე ორგანიზაცია. კედია და ქარუმიძე პარტიიდან გაირიცხა, მაგრამ ესენი პოულობენ შესაფერ მრევლს და თავის გზას განაგრძობენ.

როგორც ხედავთ, ავანტიურისტთა ერთი ჯგუფი, დემოკრატიის დროშის ქვეშ შეფარებული, მაგრამ ამ დროშასთან ყოველივე ნათესაობის უარისმყოფელი, შხამავდა იქ და შხამავს აქ ქართული საქმის ატმოსფერას.

——

ამ ავანტიურისტებს გვერდს უმშვენებს საზღვარგარეთ გამოჩეკილი ფაშისტური ორგანიზაცია ლეო კერესელიძისა. როგორიც მღვდელი, ისეთი მრევლიო, ნათქვამია. ამ ვაჟბატონის მრევლი არ არის ყურადღების ღირსი რომ ის სჯერდებოდეს საზოგადოებრივ კალაპოტს. მაგრამ კედიას «გვირგვინი» მათ არ ასვენებს და მიმართეს დანოსების მეთოდებს. ლეო კერესელიძემ მიითვისა ღენერლის სახელწოდება და ამ ტიტულით ევლინება უცხოელთ, თუმცა ის, ყველამ იცის, ისეთივე ღენერალია, როგორც ჩინეთის ბოგდიხანი. ვითომ და თუ სპ. კედია საქართველოს «ნამდვილი წარმომადგენელია», რატომ მისი დამხმარე კერესელიძე «ღენერალი» მაინც არ უნდა იყოს. ავანტიურისტი სულდგმულობს ავანტიურისტული საშვალებებით. ჩვენი საქმის უძლიერესი დასაყრდნობი ბაზაა ჟენევა, სადაც შემდგარია უცხოელთა მიერ განსაკუთრებული ორგანიზაცია სახელწოდებით: «საქართველოს ინტერნაციონალური კომიტეტი». ის დაკავშირებულია საქართ ნაციონალურ მთავრობასთან და მუშაობს მასთან შეთანხმებით. ჩვენი მხრით ამ კომიტეტში მონაწილეობას იღებს ხარ. შავიშვილი. ლეო კერესელიძემ განიზრახა ამ ორგანიზაციის გზაკვალის არევა, მთავრობიდან ჩამოშორება და მით მისი სავსებით დანგრევა, ამ მიზნით უგზავნა კომიტეტის თავმჯდომარეს დანოსები ქართველ მთავრობაზე, საელჩოზე და ვინ იცის რას არ აბრალებდა. როცა ვერც ერთ ამ წერილმა ვერ გასჭრა, ბოლოს მიმართა უდიერი წერილით ამ წლის 3 ივლისის თარიღით, სადაც ვკითხულობთ: «მე თქვენ მოგწერეთ სამი თუ ოთხი წლის წინეთ დუბსის დეპარტამენტიდგან, და გაცნობეთ უპატიოსნო მოქმედებანი ჟორდანიას ბანდის და მისი წარმომადგენლების. ეს წერილები იყო საიდუმლო და მიმართული პირადათ თქვენდამი. მიუხედავათ ამისა, თქვენ ის გადაუგზავნეთ პარიზში საქართველოს ლეგაციას, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, მენშევიკების ლეგაციას, რაც მე გავიგე მაშინვე»-ო.

ამ ამონაწერში ნათლად სჩანს მაბეზღარი კერესელიძე, რომელსაც იმდენი გამბედაობა არ აქვს რომ აშკარად წამოაყენოს თავისი ბრალდებანი. კომიტეტმა, რასაკვირველია, შეამოწმა მისი ბრალდებანი და დარწმუნდა რომ ის იყო თავიდან ბოლომდე ყალბი, რასაც დიდათ განურისხებია ჩვენი მედანოსე. ეს ვაჟბატონი არწმუნებდა ჟენეველთ, სხვათა შორის, იმაშიაც, რომ საქართველოს ლეგაციას სტამბოლიდგან მოყავს მხოლოდ მენშევიკი-ემიგრანტები, ხოლო სხვებს კი იქ სტოვებსო. საკმარისი იყო წამოყვანილთა სიის გადახედვა, რომ ეს სიცრუე აშკარა გამხდარიყო უცხოელთათვის. ეს რასაკვირველია, არ მოეწონა «ღენერალს» და ახალ წერილში განაგრძობს ჩვენს გინებას, სრულიად უსაბუთოდ, რასაკვირველია.

შავიშვილი ყოფილა «ცნობილი საძაგელი, პროფესიონალური ცილისმწამებელი», რომელსაც არაფერი დაეჯერება. მენშევიკურ პარტიას ჩაუდენია საქართველოში «აღსაშფოთებელი დანაშაულობანი», რომელსაც «40 წლის განმავლობაში უსინდისოთ საქართველოს საუკეთესო შვილები და უდიდესი მოღვაწენი»... «ჩვენი მოვალეობაა მათთან ბრძოლა, მათი პარტიის გაწყვეტა. ამას ჩვენ შევასრულებთ, ეს მიიღეთ ფაქტათ. ეს პარტია მაინც მისით ირღვევა და იყოფა ოთხ შტოთ, ერთი მეორის წინააღმდეგ. საუკეთესო ელემენტები და ახალგაზდობა გახდა ფაშისტი, საძაგლები და ურიები დარჩენ ჟორდანიასთან»... ერთი სიტყვით, თავიდან ბოლომდე წერილი სავსეა ცილისწამებით და უდიერობით. უდიერათ იხსენიებს არა მარტო ჩვენ ორგანოებს, არამედ იმ დიდ პიროვნებას, რომელსაც წერილს სწერს და რომელიც ჩვენ საქმეს სათავეში უდგას. და თუ ასეთ სიცრუით სავსე წერილებს უგზავნის ჩვენი საქმის კარგათ მცოდნე უცხოელთ, რანაირი შინაარსის წერილები ეგზავნება სხვებს—ადვილი წარმოსადგენია. და ეს იმ დროს, როცა ჩვენი საკითხი მწვავეთ დგას ჟენევაში და ჩვენი მეგობრები იბრძვიან მის ჩვენდა სასარგებლოთ გადასაჭრელათ. ამათი მოშლა, ჩვენზე გულის აცრუება და ჩაჩუმება დიდი ხანია მიზნათ დაისახა მოსკოვმა და ვერ შესძლო. ახლა მტრის წისქვილს აბრუნებენ ქართველი ავანტიურისტები.

——

აქვე პასუხი უნდა გავცეთ მესამე გმირს—შალვა ქარუმიძეს, რომელმაც «ბრძ. ხმ.» რედაქციას მიმართა თავის გაზეთის («კლდე» № 1) საშუალებით წერილით, რაზედაც გასულ ნომერში უადგილობის გამო ჩვენ შესაფერი პასუხი ვერ გავეცით. იქ მხოლოთ მოკლეთ აღვნიშნეთ სრული სიყალბე მისი მოჭორილი ამბებისა.

რაშია საქმე? ჩვენ ვწერდით, რომ «პოს. ნოვსტ»-ში დაიბეჭდა ცნობა, ვითომ ბერლინის პროცესი ქარუმიძის მიერ ყალბი ჩერვონცების გაკეთების და გასაღების 'შესახებ ცნობილ იქნა პოლიტიკურ პროცესათ, ხოლო რაც შეეხება ამავე ჩერვონცების პარიზში გასაღებას, პროცესი სიმონოვიჩ-ერისთავ-ჩოლოყაშვილისა, მასთან ქარუმიძეს კავშირი არ ქონებიაო. ესე იგი გაზეთის იფორმატორი ბერლინის პროცესს პოლიტიკურათ სთვლის, პარიზის პროცესი კი ასეთათ არ მიაჩნია და ჩოლოყაშვილს და სხვებს ქარუმიძესგან მიჯნავს. ჩვენ ვეკითხებოდით, ვინ გადასცა რედაქციას ეს ცნობა. ეხლა ბ-ნი ქარუმიძე თავის წერილში აშკარათ აცხადებს, რომ ამ ამბის მიმცემი თვითონ ყოფილა. ის სწერს: რედაქციამ «გამაცნო დემანტის პროექტი, რომელიც მე არც უარმიყვია და არც დამიდასტურებია», ესე იგი მან არ უარყო გაზეთის ცნობა, რომ ჩოლოყაშვილის და სხვების პროცესი არაპოლიტიკური, არამედ სხვა ხასიათის იყო. ჩვენ გვგონია, ეს სავსებით ახასიათებს ამ ვაჟბატონს და მხოლოთ გასაკვირალია მისი უტიფრობა, როცა ის იმავე წერილში უდგება იმავე ჩოლოყაშვილის ქებათა ქებას მაგრამ ამ ამბვის მისაფუჩეჩებლათ ის იწყებს ჩვენზე შემოტევას.

«სტამბოლში პარიტეტულ კომიტეტში გაბედეთ და მოგვთხოვეთ, რომ დასტური დაგვეცა თქვენთვის და ჩოლოყაშვილი ბანდიტათ და მის სახელთან შეერთებული ქართველი ერის მოძრაობა ყაჩაღობათ გამოგვეცხადებია»-ო, სწერს ბ-ნი ქარუმიძე. მართლა ბანდიტი და ყაჩაღი უნდა იყოს ადამიანი, რომ ასეთი სიცრუე მოჩმახოს და წამოროშოს. სტამბოლის პარიტეტულ კომიტეტში ხომ ყველა ქართულ პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელნი, მათ შორის ცნობილი ნაც.-დემოკრატებიც იყვნენ და დღემდინ არავის აზრათ არ მოსვლია და არ უფიქრია ასეთი ცილისწამება გადმოესროლოს ჩვენსკენ.

ქარუმიძე იგონებს აგრეთვე ყალბი ჩერვონცების ახალ ვერსიას, რაიცა წინეთ არც არავის გაუგონია და არც არავის წაუკითხავს. მაგრამ ის ერთში მაინც გამოტყდა: იმ ყალბ ჩერვონცებში, რომელიც მან დაბეჭდა და გაავრცელა წილი არ უდევს მის მიერ ათვალწუნებულ არც ერთ პიროვნებას. მხოლოთ მისი თქმით ჩერვონცების იმ პროექტში, რომელიც არ განხორციელებულა ვითომ მონაწილეობას იღებდა ნ. რამიშვილი და ერთი ჩვენი ელჩთაგანი, რომლის სახელს და გვარს ის არ ასახელებს და რომელსაც ერთმევა საშუალება ქარუმიძეს შესაფერი პასუხი გასცეს. ესე იგი დასახელებულია ერთათ ერთი პირი და ისიც მკვდარი, რომელსაც ლაპარაკი და პირში წადგომა არ შეუძლია და სწორეთ ამის გამო მის მიერ მოწმეთ მოყვანილია გარდაცვალებული რამიშვილი. მეტი არავითარი საბუთი, არავითარი დოკუმენტი. მაგრამ რამიშვილი არ ეკუთვნის იმ მიცვალებულთ, რომელნიც არ ლაპარაკობენ. ის საფლავიდანაც ლაპარაკობს და ლაპარაკობს სწორეთ ქარუმიძის წინაალმდეგ.

ყველამ იცის, რომ კიდევ 1925 წელში ქარუმიძე ვეშაპელს მიემხრო და მის შესახებ შემდეგ რამიშვილი საქართველოსაც კი ატყობინებდა, რომ ქარუმიძე ბოლშევიკების აგენტიაო. როგორ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ასეთ პიროვნებასთან რამიშვილს რაიმე დამოკიდებულება ქონდა.

ქარუმიძე ამბობს მის წერილში, რომ ბერლინის პროცესის დროს რამიშვილი მე მებრძოდა და ჩემ წინაალმდეგ გამოდიოდაო. ეს მართალია. მაგრამ რომელი ჭკუაში მყოფი დაიჯერებს, რომ რამიშვილს ქარუმიძესთან ჩუმი კავშირი ქონდა ჩერვონცების საქმეში და პროცესის დროს კი ასე ღიათ და აშკარათ ამხელდა მთელ მის კრიმინალობას. ან დავის ასულელებს კრიმინალი-ქარუმიძე, როცა ლაყბობს, რომ პროცესის დროს მან დაზოგა ჩვენი მთავრობის წევრები, ვითომ იმ მოსაზრებით, რომ მასთან «ამ ბატონთა სხდომა საქმეს დაამძიმებდა»-ო. ის ცდილობდა პროცესისათვის პოლიტიკური ხასიათი მიეცა და ამ დროს კი ის პოლიტიკურ ხალხთან, მთავრობის წევრებთან «სხდომას» მოერიდა და მის სასტიკ მოწინაალმდეგეთ უფრთხილდებოდა?

მთელი ეს ყალბი ჩერვონცების საქმე გერმანიის სასამართლომ განიხილა ორჯერ, გამოარკვია ის სრულიად სავსებით, შეადგინა მთელი სია მასში მონაწილეთა. ისინი ვინც იყვნენ გერმანიაში გაასამართლა, ხოლო ვინც გერმანიის გარეთ აღმოჩნდენ, ისინი სასამართლოს გადაურჩენ. ყველა ეს პირები იყვნენ და არიან სწორედ ჟორდანია-რამიშვილის მოწინაალმდეგე ბანაკიდან და ეხლა საქმის გათავების შემდეგ ამ ბანაკისათვის ახალი პირების მიწებება და ისიც მკვდარი მოწმის საშუალებით არის მხოლოდ ხერხი ნამდვილი ავტორების დასამალავათ.

ქარუმიძე ამბობს, რომ ვითომც ჩვენ მოვიგონეთ ვიღაც დოლიძე—ბოლშევიკი ყალბი ჩერვონცების მონაწილე. ნამდვილათ კი ეს გამოააშკარავა ლეიპციგის უმაღლესმა სამჯავრომ, რომელმაც გააუქმა ბერლინის სამჯავროს მიერ გავრცელებული ამნისტია ქარუმიძეზე, იცნა მისი მოქმედება კრიმინალურათ და გადაუწყვიტა მას ორი წლის ციხე, რასაც ქარუმიძე გაექცა შვეიცარიაში თავის შეფარებით. მთელი ეს ამბავი იყო გამოცხადებული პრესაში, საიდანაც ის ჩვენ ამოვიღეთ. ერთი სიტყვით სასამართლოს წესით დამტკიცდა, რომ ქარუმიძე ბოლშევიკებთან ერთათ ყალბ ჩერვონცებს ბეჭდავდა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქართველ ბოლშევიკებს გარდა ამ საქმეში ერია გერმანელი კომუნისტი, ვიღაც ბელი, რომელიც მოკლეს ნაც.-სოციალისტებმა. ამნაირათ, ეს ქარუმიძის ბანდა შესდგებოდა უმთავრესათ რუს-გერმანელ ბოლშევიკებისაგან და აბრიყვებდა ზოგიერთ პატიოსან ხალხს. რომ ყალბი ჩერვონცების საქმე იყო მოწყობილი ბოლშევიკების მიერ.. ჩვენ ეს გვაცნობეს დოკუმენტალურათ საქართველოდან, რაიცა ჩვენ თავის დროზე გავაცანით ფრონტში შემავალ ყველა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელთ.

გავყვეთ ქვევით და კიდევ ერთხელ დავიჭიროთ ქარუმიძე სიცრუეში. ქარუმიძის ვერსიით, მას რამიშვილთან მოლაპარაკება ქონდა 1926 წელს. როცა ჩვენ ვერ შევთანხმდით, რამიშვილი მოსპობით დამემუქრა და ეს მუქარა კიდევაც განახორციელაო. «პარიზში ამყოლი ხალხი პარტიის ძველ წევრს პარტიიდან მრიცხავს, მის ერთ ერთ დამფუძნებელს, კომიტეტისა და აღმასრულებელ ბიუროს წევრს პარტიიდან მრიცხავს ბრალდების წამოუყენებლივ, დაუკითხავათ და მიკრძალავს პოლიტიკურ მუშაობას». ესე იგი ქარუმიძის პარტიული ამხანაგები რამიშვილს აყოლიან, მისი შთაგონებით ქარუმიძე პარტიიდან გაურიცხავთ და მისთვის პოლიტიკური მუშაობა აუკრძალავთ. საქმის ნამდვილი ვითარება კი ასეთია. ქარუმიძე მართლა გარიცხა მისმა პარტიულმა ამხანაგებმა პარტიიდან. მაგრამ არა პარიზში 1926 წელს, არამედ სტამბოლში 1924 წელს. მის პარტიულ ამხანაგებს მის შესახებ ქონდათ მრავალი სხდომები, სადაც ქარუმიძე საათობით იქნა დაკითხული, მას წაუყენეს შემდეგი მთავარი ბრალდებები: 1) ქარუმიძემ გაფლანგა და დანიშნულებისამებრ არ გადაუგზავნა ქაქუცა ჩოლოყაშვილს საქართველოში ფული, რაიცა მას დავალებული ქონდა მისი ამხანაგებისაგან; 2) მან გაფლანგა აგრეთვე და ვერ წარმოადგინა სრული ანგარიშები გაყიდული მატყლისა, რომელიც ეკუთვნოდა ამხანაგობა—«მწყემს»; 3) ქარუმიძეს ბრალდებოდა კავშირი იმ ბანდასთან, რომელმაც ერთ არტისტ-მომღერალ ქალს, ვიღაც ბერგონის სტამბოლის ქუჩებში ყურიდან ძვირფასი ყურსაკიდი მოაგლიჯა და შემდეგ ეს ყურსაკიდი ქარუმიძემ გაყიდა *). ქარუმიძემ ამ ბრალდებებიდან თავი ვერ გაიმართლა, ის დანაშაულათ იქნა ცნობილი მისი ამხანაგების მიერ და განიდევნა პარტიიდან პოლიტიკური მუშაობის აკრძალვით. ეს ამბავი სტამბოლის ქართულ კოლონიაში ბევრს ქონდა გაგონილი იმ დროს და დღესაც ბევრს ახსოვს. ეს არის ფაქტი, რომელსაც ადგილი ქონდა სტამბოლში 1924 წ. რა შუაშია აქ რამიშვილი, და როგორ შეეძლო მას ვინმე აეყოლებია ქარუმიძის საწინაალმდეგოთ და მის პარტიიდან გასარიცხავათ 1926 წელში? ასეთია ავანტიურისტის ტყუილის მოკლე ფეხები.

ბ-ნი ქარუმიძე ბრძანებს, რომ მის წინაალმდეგ ბერლინში დაარსებულ იქნა ქართული საინფორმაციო პრესის ბიურო, რომელიც ყალბ ცნობებს ავრცელებდა და ავრცელებსო. ჩვენი საკითხის გამო ამ პრესს-ბიუროს მუყაითი და ენერგიული მუშაობა ქართულ საზოგადოებამ კარგათ უწყის. რაც შეეხება ქარუმიძის შესახებ გავრცელებულ ყალბ ცნობებს, ამის ავტორნი კი თვით ქარუმიძე და მისი მეგობრები არიან.

გასულ წლების განმავლობაში ქარუმიძე და მისი მეგობრები აწვდიდენ გერმანულ პრესას აშკარა ყალბ ცნობებს; ჰქმნიდენ შთაბეჭდილებას თითქოს ქარუმიძე ყოფილიყოს მთელი ქართულ ეროვნულ მოძრაობის განსახიერება, მისი პოლიტიკური, სულიერი და სამხედრო მეთაური, «საქართველოს უგვირგვინო მეფე»; ხშირათ ის საქართველოს ყოფილ პრეზიდენტათ და მთავარსარდლადაც გამოყავდათ. და ამ ყოვლათ სასაცილო ცნობებს ავრცელებდა მოსკოვის დიდი მომხრე და ბოლშევიკების დიდი დამცველი—გაზეთი «ფოსიშე ცაიტუნგი», რომელშიდაც მოკალათებული იყო ბ-ნი ქარუმიძე და ამ გაზეთს თვითონ, თუ თავის მეგობართა საშუალებით აძლევდა მოჭორილ ინფორმაციას. ყველა ამ ჭორების გავრცელებაში დაინტერესებული იყო აგრეთვე მოსკოვიც, რომელსაც ქართულ საქმის სახელის გატეხა სურდა და ისიც თავისი მრავალი აგენტების საშუალებით ამას ხელს უწყობდა. მგზავსი ჭორები დღესაც იწერება გერმანულ პრესაში! აი რას სწერს «კონიგსბერგერ ალგემაინე ცაიტუნგ»-ი გასულ 24 ივნისის ნომერში:

«მრავალი კვირა გრძელდებოდა ბრძოლა, რომელსაც ერთის მხრით ხელმძღვანელობდა ქარუმიძე, ცნობილი მეთაური საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლისა და მეორე მხრით კი ტროცკი, წითელ ჯარების მაშინდელი მთავარსარდალი. ქარუმიძე იცავდა თავის ქალაქს მცირეოდენი ძველებური თოფებით და თავისუფალ მთის ხალხის შვილთა თავგანწირვით. ტროცკი განაგებდა მსოფლიო ომის დიდი რუსულ არმიის ნაშთებს»...

ასეთივე ცნობა იყო მოთავსებული 30 ივლისის ბერლინელ გაზეთ—«მონტაგ-პოსტ»-ში და 2 სექტემბრის ჰანოვერის გაზეთ—«ჰანოვერიშერ კურიერ»-ში.

ეხლა მკითხველისათვის ცხადია, თუ რა პიროვნებაა ბ-ნი ქარუმიძე და როგორ ავანტიურისტთან გვაქვს საქმე.

——

როგორც ვხედავთ, მთელი ქართული რეაქცია შეერთებულია ჩვენს წინაალმდეგ და მოკლებული ყოველივე პოლიტიკურ და გონებრივ ავლადიდებას, ცდილობს ინსინუაციებით და ზნედაცემული საშვალებებით ჩვენს ჩაქოლვას. საკვირველია მხოლოდ ის რომ ამ რაზმს მეთაურობს არა ქართველი, არამედ მთიელი, ვინმე გაიდარ ბამატი, რომელიც გულმოდგინეთ აგროვებს ქართულ რეაქციონურ პრესაში ყოველივე ჭუჭყს და ცილისწამებებს და ხოტბით აწვდის თავისი რუსული ჟურნალის რუსულ მკითხველს. სწორეთ უკეთეს მეთაურს ვერ იშოვიდენ ეს უსაქმურნი, ფერი ფერსო, ბამატი კედია-ქარუმიძეს, კედია-ქარუმიძე ბამატს. ქართველი მკითხველისათვის ეს პიროვნება სრულიად უცნობია და მეტი არ იქნება მისი გაცნობა, ეს მით უფრო რომ მისი მსგავსი ქართველ მოღვაწეთა შორის არ მოიპოვება და ამიტომ ჩვენი რეაქციონერები იძულებული გახდენ ის მთაში გამოენახათ.

გაიდარ ბამატი რევოლიუციამდე თფილათ განისვენებდა კავკასიის ნამესტნიკის კანცელიარიაში და გულმოდგინეთ ემსახურებოდა კავკასიის რუსიფიკაციას. მისთვის სრულიად მოულოდნელათ რევოლიუცია თავს დაატყდა. მისი კანცელიარია დაინგრა, კარიერა გაუფუჭდა და ცალიერ-ტარიელი გოლოვინის პროსპექტის უსიამოვნო მტკეპნელი გახდა. ამ დროს გაახსენდა რომ ის მთიელია და პატრიოტიზმს გასავალი აქვს. მიდის მთაში, იქ, მთიელთა ყრილობა ირჩევს ცენტრალურ კომიტეტს მთავრობის ყველა ფუნქციებით, ხოლო ბამატს მის წევრათ. მაგრამ როგორც კი გამოჩნდა ბოლშევიკების ბანდები და შეიჭრენ ვლადიკავკაზში, ეს ჩვენი გმირი გამორბის იქიდან, ტოვებს მთელ ჩრდილო-კავკასიას და თავს აფარებს საქართველოს. ამ დღიდან ის ალარ დაბრუნებულა მთაში და არავითარი მონაწილეობა არ მიუღია იქაურ დიდ ამბებში. მან აქ თავი ისახელა ორი გარემოებით: მან მთიელთა დამოუკიდებლობა გამოაცხადა... ბათუმში! ხოლო ჩვენში ჩამოსულ სოც. ინტერნაციონალს გადასცა ჩვენ ამხანაგ აჰმედ ცალიკოვთან ერთათ მემორანდუმი, რასაც ხელს აწერდა როგორც წარმომადგენელი «ჩრდილო კავკასიის მთიელთა კავშირის რესპუბლიკის დამოუკიდებელი სოციალისტების». ეს ახლად მოვლინებული «სოციალისტი» არწმუნებდა ევროპიელთ რომ «სოციალისტური ავანგარდი მთიელი ხალხებისა, დამცველნი მშრომელთა მასების ინტერესების, სთვლის თავის ისტორიულ დანიშნულებათ მთიელთა განმათავისუფლებელი მოძრაობა გადაიყვანოს საფუძველზე მოწინავე დემოკრატიზმისა და სოციალიზმის წინაკარებისა, ამ ჩვენი დროის მსოფლიო პრობლემისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დემოკრატიული შკოლა აუცილებელი, გარდაუალი ეტაპია სოციალური სამეფოსა... ამ მომავლის შემქნელია მსოფლიო პროლეტარიატი» და სხ. და სხ. მეფის მოხელე უცებ გახდა სოციალისტი და ინტერნაციონალისტი. გადმოიხვეწა ევროპაში მთიელი მანდატით და აქ წრიალებდა ხან ერთ ჯგუფში, ხან მეორეში და ბოლოს შეკრა ქართული რეაქცია და მისი მეთაური გახდა. სასაცილოთ ასე ჩამოგორდა ეს უშიშარი რაინდი «მსოფლიო პროლეტარიატიდან» კედია-ქარუმიძემდე და მათთან ერთათ ემუქრება ქართველ სოციალდემოკრატიას შემუსვრით. ჭინჭრაქამაც მოინდომა ერთხელ ზღვისთვის ცეცხლის წაკიდება.

გალმა გადავების პოლიტიკა

«საქ. გუშაგი»-ს № 7-ში მოთავსებულია პატარა წერილი ასეთი პატეტიური სათაურით: «ბ-ნი ჟორდანია სდუმს... როდემდის?»

ბ-ნ დ. ვაჩნაძეს «გუშაგის» მტკიცებით—გამყრელიძის საგამომძიებლო კომისიაში განუცხადებია, რომ «გამყრელიძე იარაღი იყო ბ-ნ ნ. ჟორდანიას ხელში და რომ გამყრელიძის წერილის პასუხისმგებელი ავტორი ბ-ნი ნ. ჟორდანია ბრძანდება».

ჩვენ არ ვიცით მართლა გააკეთა ასეთი განცხადება ბ-ნმა დ. ვაჩნაძემ, თუ იგი «საქ. გუშაგის» კალმოსნების მორიგი ინსინუაციაა *). ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ ბ-ნ გამყრელიძეს არსად უთქვამს უარი არც ნაგულისხმევ წერილის ავტორობაზე და არც საკუთარ პასუხისმგებლობაზე. და თუ ვინმე ფიქრობს, რომ გამყრელიძის წერილში რაიმე დიფომაციის მზგავსია, მან გამყრელიძე უნდა მისცეს პასუხისგებაში. ეს არის ერთად ერთი სწორი გზა და ვისაც სიმართლე აინტერესებს და არა ჭორები, მან ამ გზას უნდა მიმართოს და პირუთვნელი სამსჯავროს განაჩენი ეძიოს.

«საქ. გუშაგი» კი ამ გზას გაურბის და ნ. ჟორდანიასაგან მოითხოვს პასუხს, მაგრამ რა უფლებით? რა მოვალეა ნ. ჟორდანია ანგარიში აბაროს «საქ. გუშაგი»-ს ორნახევრიან ჯგუფს, რომელთა ბრძოლის იარაღი წრეს გადასული ინსინუაციაა!

მაშ რაშია საქმე? რამ აუტკივა თავი და მუცელი «საქ. გუშაგი»-ს კალმოსნებს, რომ ასე ისტერიულათ გაკივიან? ცხადია ჩვენ აქ საქმე გვაქვს «გალმა გადავების» პოლიტიკასთან, რომ ამით ბ-ნმა სპ. კედიამ და მისმა მცირერიცხოვანმა ჯარმა «გამოღმა» შეირჩინონ. საქმე იმაშია, რომ იმავე გამყრელიძის კომისიაში დაგროვდა საკმაოდ დიდი მასალა ბ-ნ სპ. კედიას ჯგუფის წევრთა შესახებ. ზოგი რამ ამ მასალებიდან მოყვანილია «ჩვენს პასუხში», რომელიც «ბრ. ხმის» № 44-ში დაიბეჭდა.

ბ-ნი გამყრელიძე ბრალს დებს კედიას ჯგუფს იმაში, რომ ჩვკისტ დემიდოვს კავშირი ქონდა კედიას ჯგუფის წევრთან და ამ უკანასკნელის საშვალებით იგი აწესრიგებდა ჯგუფში თავის საქმეებს; ბ-ნი გამყრელიძე კატეგორიულად აცხადებს, რომ მან თავისი თვალით ნახა «ამ ჯგუფის კონფერენციის ოქმები და ბ-ნ კუპრაძის ღია წერილის ორიგინალი, რომელიც გადაეცა «ამხ. კოლიას» (დემიდოვს) მისი გამოქვეყნების დიდი ხნით ადრე».

მეორე ბრალმდებლათ გამოვიდა კედიას ჯგუფის ყოფილი წევრი ბ-ნი ბონდო ელიავა და კომისიას წერილობით აჩვენა, რომ კედიას ჯგუფის წევრი გეგელია აქეზებდა ჭანუყვაძეს ნ. რამიშვილის მოკვლაზე, ხოლო მოკვლის შემდეგ წერილებით ამხნევებდა მას და სწერდა, რომ მან «ჩაიდინა საქართველოსთვის სასარგებლო საქმე». ეგევე გეგელია მას (ელიავას) «ურჩევდა ს. მენაღარის მოკვლას».

კომისიის საქმეებში იმყოფება ეს კატეგორიული ბრალდებები. ბრალმდებელი ელიავა მოითხოვს, რომ გეგელია მას გაყვეს სამართალში, სადაც იგი დაამტკიცებს მის მიერ წამოყენებულ ბრალდებებს, კომისიასაც კი თხოვს დაათანხმოს გეგელია სამედიატორო სამართალში გაყოლაზე.

---

*) ამ ყურსაკიდის საქმის გამო ქარუმიძე ციხეშიდაც იჯდა; ის გამოშვებულ იქნა თავდების ქვეშ, რის შემდეგაც ის გაიპარა ოსმალეთიდან.

*) არც ერთმა ჩვენ მიერ შეკითხულმა კომისიის წევრმა არ დაადასტურა რომ ბ. დ. ვაჩნაძემ მართლა სთქვა ის, რასაც აწერს მას «საქ. გუშაგი». საკვირველია, რომ თვით ბ. ვაჩნაძე დღემდე სდუმს.

რედ.

ბ-ნ სპ. კედიას ჯგუფი საერთოდ და ბ-ნი გეგელია კერძოთ ამ ბრალდებების შესახებ კრინტს არ ძრავენ, ბრალმდებლებისაგან პასუხს არ მოითხოვენ. ასეთი ბრალდებები «გაღმა გადავებით» არ გაბათილდება. ქართულ საზოგადოებისათვის საინტერესო ის კი არ არის თუ ვინ რა მოჭორა, არამედ სწორედ ამ ბრალდებების გამორკვევა; ან მათი უარყოფა, ან მათი დამტკიცება. თუ კედიას ჯგუფი, ან რომელიმე მისი წევრი უდანაშაულონი არიან, უნდა დაისაჯონ ყალბი ბრალდებების წამომყენებელნი; თუ პირიქით, პირველთ დაუმტკიცდათ მათ წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები, მაშინ ჩვენს ემიგრაციას ეცოდინება თუ როგორი რეპუტაციის ხალხი იყრის თავს «საქ. გუშაგი»-ს ირგვლივ და სათანადო განაჩენსაც გამოუტანს მას.

«გაღმა გადავების» პოლიტიკას ბოლო უნდა მოეღოს. ბრალდებულებმა თავი უნდა იმართლონ პირუთვნელ სამსჯავროს წინაშე, უკეთ რომ ვთქვათ, მოთხოვონ ბრალმდებლებს მათ მიერ წამოყენებული ბრალდებების დამტკიცება. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას უფლება ექნება ბრალდებები დამტკიცებულათ ჩათვალოს და სათანადო დასკვნაც გააკეთოს.

აბლღიპელი.

გამდგართა მუშაობა

ბერლინში, რენეგატი ი. ირემაშვილის მიერ, ხელნაწერათ, ყოველ თვიურად, გამოდის გაზეთის მაგვარი—«იერიში». «იერიში» იწერება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს საწინააღმდეგოთ. რა სიბინძურე, რა სისაძაგლე გინდა რომ იქ არ ნახოთ ჩვენი პარტიის და მისი ლიდერების შესახებ. სწორედ ამიტომ, მით უფრო საყურადღებოა რასაც ის სწერს ერთ მის მოკავშირე—შ. ქარუმიძეზე.

«უკრაინულ თვიურ ჟურნალში გერმანულ ენაზე «სლავ. აღმოსავლეთ», № 5—სწერს ის—მოთავსებულია მეთაური წერილი «ბოლშევიკები პროვაკატორობენ», სადაც, სხვათა შორის, სწერია შემდეგი: «ინტერვენციის შესახებ ხმების გამვრცელებელნი იყვნენ ის პირნიც, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ გასამართლებულნი იქმნენ გერმანულ სასამართლოში ყალბი ჩერვონცების მოჭრის შესახებ. პასუხისგებაში მიცემულებმა განუცხადეს მაშინ მოსამართლეთ, რომ ყალბი ჩერვონცები მოსჭრეს ანტიბოლშევიკური ინტერვენციისათვის. სასამართლოში გამოაშკარავებულმა წვრილმანებმა ნათელყვეს, რომ მთელი ამ საქმის მიზანი იყო ემიგრაციის ხელმძღვანელების და მათდამი კარგათ განწყობილი საზღვარგარეთელ წრეების სახელის გატეხა. საქმის გარჩევის პროცესშივე გამოაშკარავდა, რომ უმთავრეს დამნაშავეთა და მოსკოვს შორის არსებობდა ფარული კავშირი (გვ. 2).

«ქართველმა ემიგრაციამ კარგათ იცის რომ ეს დამნაშავენი იყვნენ ბ. ბ. შ. ქარუმიძე და სადათირაშვილი-ბაზილიუსი. გარდა ამისა ქარუმიძის და სადათირაშვილის წერილებია გამოქვეყნებული გერმანულ ყოველთვიურ სამხედრო ჟურნალ «კიფჰაოზერ»-ში № 14, აპრილი 1934 წ., რომელთაგან სჩანს, რომ სხვებთან ერთად მათ ჟენევაში დაუარსებიათ «კავშირი საბჭოთა რუსეთის უფლება-აყრილ ეროვნებათა», რომელთა ინტერესებსაც ისინი წარმოადგენენ თურმე და იცავენ. ხაზგასმით აღსანიშნავია რედაქციის შენიშვნა თავშივე, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

«ჩვენ საყურადღებოთ მიგვაჩნია, რომ აქ დასახელებულ მოძრაობათ კავშირი არ აქვთ სხვადასხვა ნაციონალურ ემიგრანტულ ორგანიზაციებთან, არამედ ისინი იშვნენ თვით რუსეთშივე და იქავე კვლავ ვითარდებიანო». ამ მოძრაობის ხელმძღვანელ საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრია ბ. ქარუმიძე, როგორც თვითონ აცხადებს თავის წერილის თავშივე.

«ყველაფერი ეს ფრიად საეჭვოა და აი რატომ: შარშან, მკათათვეში, ქარუმიძის დაარსებული ე. წ. «ნაციონალური წრე» და მისი «კომიტეტი» მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ ბ. ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ და არა მარქსისტების საზოგადოთ. აქედან ცხადათა სჩანს რომ «განმათავისუფლებელი მოძრაობა» კავკასიაში ქარუმიძის სახით მიმართული ყოფილა... მხოლოდ და განსაკუთრებით დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის ყოფილ მთავრობის და «პოზიციის» სახით ნოეს პარტიის წინააღმდეგ, რაც ამ, ასე ვთქვათ, «მოძრაობას» ძალიან საეჭვოთ ახასიათებს. თვით ქარუმიძე არ ფარავს თავის კავშირს «დიდ ბოლშევიკთან» (ალბათ სტალინია), რითაც ის ამაყობს. მისივე სიტყვებია ჩემთან მის სასტუმრო ოთახში თქმული.

«ქარუმიძის კავშირს ბოლშევიკებთან ადასტურებენ ბ.ბ. დ. ლამბაშიძე და მ. წერეთელი. ხოლო ამათ აზრთა შორის დიდი განსხვავებაა. იმ დროს, როდესაც ლამბაშიძე სხვა აგენტებთან ერთად შ. ქარუმიძესაც პირდაპირ ასახელებს ბოლშევიკების მოსყიდულ აგენტათ, ნ. რამიშვილის მკვლელობის ორგანიზატორად და სხ. და სხ. კრიმინალურ საქმეების «მოურავათ»—მ. წერეთელს ქარუმიძე მოღალატეთ მაინც არ მიაჩნია. მისი რწმუნებით ქარუმიძეს აქვს კავშირი მხოლოდ ოპოზიციონურ კომუნისტებთან, რომელსაც ის იყენებს თურმე სტალინისა და სხვა პოზიციონერების წინააღმდეგ»...... «იერიში» № 8. 1934 წ.

ამ გრძელ ამონაწერს კომენტარიები აღარ ესაჭიროება.

აღსანიშნავია რომ ქარუმიძის პროვაკატორული წერილი («კლდე» № 1) სპ. კედიას გაზეთმა სავსებით და ყოველგვარი შენიშვნის გარეშე გადმობეჭდა, ხოლო ქარუმიძის შესახებ ზემოთ მოყვანილი ცნობების შესახებ, მიუხედავათ იმისა, რომ ის აგერ ორი თვეა სააშკარაოზეა გამოტანილი—მჭევრმეტყველურად სდუმს.

რატომ?

⁂

კედია სდუმს, მარა მეტყველებს ბ.შ. ამირეჯიბი, რომელიც, როგორც ვიცით, დართან ერთად ფერსაც იცვლის და გულსაც. დღეს შენია, ხვალ სხვისი. დღეს იწუნებს იმას, რასაც გუშინ აქებდა, აქებს—რასაც იწუნებდა. ერთი სიტყვით ნამდვილი მანასეა—ხან ასე და ხან ისეო. ასეთი კაცის არც ლანძღვაა საწყენი, არც ქება სასახელო. და თუ ჩვენ მაინც გვინდა მოვიყვანოთ ორიოდე ეპიზოდი მისი მანასეობიდან, ეს იმიტომ რომ მკითხველმა ერთხელ კიდევ დაინახოს თუ რამდენათ პატივსადებია ამ პარიზის უეკლესიო დიაკვანის აზრი და შეხედულება.

დღეს ბ. ამირეჯიბი მოკალათებულია სპ. კედიას «გუშაგ»-ში და იქიდან დიაკვნური ვულგარობით უტევს ნ. ჟორდანიას. მარა ასე არ ფიქრობდა და და არ იქცეოდა ის გუშინ, წინეთ. წაიკითხეთ მისი წერილი გაზეთ «მამულიშვილი» № 6 და თქვენ დაინახავთ ვისთან გაქვთ საქმე.

ამ წერილში ბ. ამირეჯიბი ადარებს კედიას და დევდარიან-გელეიშვილს ერთმანეთს, აღნიშნავს მათ მსგავსებას, პოულობს განსხვავებასაც. ეს განსხვავება მისი თქმით მდგომარეობს იმაში, რომ «ქართულ ემიგრაციას, საქართველოს ეროვნულ მთავრობას და საერთო ფრონტს დევდარიან-გელეიშვილი იქიდან ებრძვიან. სულ სხვაა კედიას ტაქტიკა. ის აქედან, ესე იგი, თვით ემიგრაციაში ებრძვის საერთო ფრონტს და ამას შეუძლია შექმნას ყალბი შთაბეჭდილება, თითქოს ასეთი განდეგილი ბრძოლა იმავე დროს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა იყოს».

როგორც ვხედავთ აქ ბ. ამირეჯიბი ჩვენთან ერთად, სრულიად სამართლიანად, ამტკიცებდა რომ კედიას და მის ამყოლთა მუშაობა სრულიადაც არ ნიშნავდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას და ცდილობდა «ყალბი შთაბეჭდილების» გაფანტვას.

«ბ. კედია—განაგრძობს ამირეჯიბი—მსხვერპლია იმ ძირითადი ნაკლისა, რომ მას ლიდერის არც ერთი თვისება არ ქონდა. ქართული პოლიტიკური განვითარების ღარიბ არეზე ილია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე და ნოე ჟორდანია ის სამი პირი იყო, რომლებიც საზოგადო აზრს ხელმძღვანელობდენ და პარტიები ჰყავდათ. მე არ ვიცი სხვა ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც ასევე უდგებოდეს სახელწოდება ლიდერისა, როგორც ამ სამს, სხვადასხვა დროს მოღვაწე და სხვადასხვა მიმართულების პირს. ეროვნულ-დემოკრატები ღმერმა იმით დაგვსაჯა, რომ ლიდერის მაგივრად ბ. კედია მოგვცა».

ასეთი აზრის იყო და ასე სწერდა ბ. ამირეჯიბი კედიასა და ჟორდანიას შესახებ. კიდევ მეტი. როცა ნ. ჟორდანიას 60 წლის იუბილე გადაუხადეს ბ. ამირეჯიბმა თავის მისასალმებელ გრძელ სიტყვაში ისეთი ქათინაურები უთხრა მას, რომ ნ. ჟორდანიამ თავის საპასუხო სიტყვაში თავშივე განაცხადა: მე რომ ნახევარი მაინც დავიჯერო იმისა, რაც აქ ბ.ამირეჯიბმა ჩემ შესახებ სთქვაო და სხ...

ბ. ამირეჯიბს იმ დროს მეტად აფიქრებდა კედიას ლოზუნგი—«ომი მენშევიკებთან, ზავი ბოლშევიკებთან», და აფრთხილებდა თავისიანებს: «ეროვნულ-დემოკარატ. პარტია ღრმად უნდა ჩაუკვირდეს რა მოვლენასთან აქვს საქმე! რას ნიშნავს კედიას ასეთი ქადაგება»-ო. ეს გაფრთხილება ისმინა ერ.-დემ. პარტიამ და კედია კიდევაც მოიშორა თავიდან. ხოლო ამირეჯიბმა ეხლა თვით მოიკალათა კედიას გაზეთში და იქიდან ქვადაგუნდას აყრის სხვებს. რატომ? იმიტომ რომ ის მანასეა...

წინეთ ბ. ამირეჯიბი სერიოზულათ ამტკიცებდა რომ «ეროვნულ საკითხში ჩვენში «პირველი» და «მეორე» პარტია აღარ არსებობს. აქ მთელი ხალხი სდგას ერთად. ამის ნაყოფია სწორედ ეროვნული ფრონტი»-ო. დღეს კი სწერს—სად მენშევიკები, სად ეროვნული საკითხიო! რატომ? იმიტომ რომ ის მანასეა...

გუშინ ამირეჯიბი ქვეყანას არწმუნებდა, რომ «კედია ვერც იმას ხედავს, რომ პარტიული ლიდერის კვერთხის მაგივრად ხელში სველი ტილო უჭირავს. ეს სველი ტილო ძალიან კარგია კედიასთანა გულგახეთქილი კაცისათვის, მაგრამ არა პარტიისათვის»-ო და სხ. დღეს კი იმავე კედიას გაზეთში თვითონ ასველებს ამ ტილოს. რატომ? იმიტომ რომ—ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.

⁂

«გუშაგის» იმავე ნომერში დაბეჭდილია სპ. კედიას წერილი «ინ. გაერთ.», რომელშიდაც ის ითვალისწინებს ორი ინტერ. გაერთიანების შესაძლებლობას და კითხულობს—თუ ეს მოხდა «რას იზამს ქართული მენშევიზმი და მისი ბელადი ნ. ჟორდანია»-ო. რატომ აინტერესებს ბ. კედიას ეს საკითხი? არ იფიქროთ რომ მას ამ შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის, ჩვენი საქმეების ინტერესი ალაპარაკებდეს. სრულიადაც არა. მას აინტერესებს მხოლოდ ის რომ ნ. ჟორდანიას სალანძღავი მასალა იშოვოს. ის პირდაპირ სწერს: «ჩვენ ეს გვინდა ვიცოდეთ მხოლოდ (ხაზი ჩვენია) იმისთვის, რომ ნ. ჟორდანიას პიროვნებას უკანასკნელი შტრიხები არ დაუკარგოთ»-ო. ერთი სიტყვით არც საქმე, არც მიზანი, არც იდეა, არამედ ნ. ჟორდანია და მისი პიროვნება! და აი, სწორედ ესაა, რომ კედიას გამდგარ ბრძოლას, ყოველგვარი იდეური ბრძოლის გარეშე აყენებს.

აღსანიშნავია, რომ კედიამ ეს წერილი გადათარგმნა და ბამატის რუსულ «კავკაზ»-ში დაბეჭდა. მარა გამოტოვა სწორედ ეს ზევით მოყვანილი აბზაცი. რატომ? ალბათ შერცხვა უცხოელების წინაშე ასეთი პირადი მტრობის მოტივების გამომზეურება. შინაურობაში შეიძლება ტიტველიც იარო, უცხოელებთან კი უთუოდ გამოწყობილი. მოდი და ნუ იტყვი ბ. ამირეჯიბის ლექსიკონით: ღმერთმა, ჩვენ სოციალდემოკრატები, სწორედ იმით დაგვსაჯა, რომ ასეთი უბადრუკი მოწინააღმდეგენი მოგვცა...

⁂

ჩვენს მკითხველს ჯერ კიდევ არ დავიწყებია ის აღშფოთება, რომელიც გამოიწვია ქართულ ემიგრაციაში «თეთრ გიორგია»-ში, მოთავსებულმა წერილმა, რომელშიდაც რუსულ ენას «ძაღლის ენას» ეძახდენ. პარიზის ქართულმა კოლონიამ თავის სხდომაზე სასტიკათ გაჰკიცხა მისი ავტორები და შესაფერი რეზოლიუციაც მიიღო.

ეხლა, იმავე გაზეთში დაბეჭდილია თვით რედაქტორი მ. წერეთელის წერილი, სადაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ: «კავკასიის ყველა პატრიოტების მედროშეა ჟურნალი «კავკაზი», რომელიც გამოდის პარიზში და ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ მისი ხელმძღვანელები დიდ როლს ითამაშებენ კავკასიის პოლიტიკური ბედის გადაწყვეტაში» («კავ.» № 8-9).

«კავკასიის ყველა ჭეშმარიტი პატრიოტების» მედროშე და წინამძღოლი კავკასიის ნამესტნიკის ყოფილი მოხელე ბამატი და მისი ... რუსული გაზეთი!

შენი შენთაგანი შენდა შემწირველიო—რომ იტყვიან ესაა...

გრ. ურ.

ქარუმიძე თავის თავზე

ჩვენ ეს ვაჟბატონი დიდიხანია მიგვაჩნია ბოლშევიკების ზრახვების ამსრულებლათ, მათ მეგობრათ. ეს ჩვენი რწმენა აგებულია არა მარტო მის ქცევაზე, მის საეჭვო მოქმედებაზე და მისი საქმეების დაფასებაზე, არამედ უმთავრესათ მისივე ნათქვამზე, რაიცა საჯაროთ გამოქვეყნდა. აი მისი წერილი ბოლშევიკების აგენტის ნ. მიწიშვილისადმი მიწერილი და ვეშაპელის «ახალი საქართველო»-ში (№ 2) დაბეჭდილი 1925 წ.:

«ძმაო ნიკო!

მივიღე თქვენი წერილი, რომლის მიღებაც მინდა დავადასტურო ამ მოკლე პასუხით, მოკლეთ იმიტომ, რომ იმედი მაქვს ერთმანეთს ვნახავთ და საშვალება გვექნება ბაასით გამოვაკვლიოთ ყველაფერი; ეხლა მოკლეთ მოგახსენებთ პასუხს თქვენ კითხვებზე.

1. მე დღესაც იმას ვფიქრობ, რასაც 1922 წ. თქვენი ნახვის დროს სტამბოლში. დამატებით დღეს იმის მოხსენება შემიძლია, რომ ემიგრაციის საქმესთან, როგორც მაშინ, ისე შემდეგ მე კავშირი არ მქონია და არ მაქვს თუნდაც იმიტომ, რომ იმ თავითვე მოგეხსენებათ, ჩემი აზრი და საქციელიც: ბათუმიდან მე ემიგრანტი არ გამოვსულვარ; დავრჩი და ვმუშაობდი საბჭოთა საქ—ში და გამოველ იქიდანაც კანონიერის გზით; მე არ შემიძლია პასუხი ვაგო იმაში, რასაც აქ სჩადიოდენ ქართველი ერის სახელით და რაზედაც მე დასტური არავისთვის არ მიმიცია.

2. მართალია, მე, საჯაროთ არ გამიკიცხავს ბ-ნ ჟორდანიას საქმე ევროპაში, რადგან ეს საქმე არც ვიცოდი, არც არავინ მეკითხებოდა და არც საჭიროდ ვსთვლიდი ამას, მაგრამ მიუხედავათ ამისა მე არაერთხელ გამიფრთხილებია რითაც კი საშვალება მეძლეოდა, ჩვენი მეგობრები საქართველოში, ხელი აეღოთ და აზრიდან ამოეცალათ ოცნება ევროპის დახმარებისა და აჯანყებისა.

3. რადგან მე ამგვარ საქმიანობასთან კავშირი არ მქონია, ვერც ვიქნები იმ ხალხთან, ვინც ასეთ საქმიანობას ეწეოდა. და თუ კი მე დღეს სადმე ვარ—ვარ მხოლოდ ქართველ ხალხთან, რომელსაც მინდა ვემსახურო და უნდა ემსახუროს ყველა ქართველი, ვისაც უნდა გაიზიაროს ერის ბედი. მე მესმის, თუ როგორ გესმით თქვენ დღეს ეს სამსახური, მესმის და მოგახსენებთ კიდეც, რომ სწორედ ამ შეგნებით მაქვს ლაპარაკი ამ საგანზე.

4. მოგახსენებთ იმასაც, რომ მე მაქვს და არასოდეს არ შეწყვეტილა ჩემში დიდი სურვილი ვიმუშაო საქართველოში; მხოლოდ თუ რა საქმით მოხერხდება ეს—ამაზე მე სიამოვნებით მოვილაპარაკებდი თქვენთან, როცა გნებავთ. გვერდზე დგომა, რომელზედაც თქვენა ბრძანებთ ზედმეტი თქმაა. და მერწმუნეთ დღევანდელ საქართველოს მე არც გავდგომივარ და არც გაუდგები».

თქვენი შალვა ქარუმიძე.»

ამ წერილს კომენტარიები არ ეჭირვება, ის თვითონ ხმამაღლა ღაღადებს ავტორზე. ის აქ გადაჭრით ეთიშება პოლიტიკურ ემიგრაციას, განურჩევლათ მიმართულებისა და ემხრობა საბჭოთა საქართველოს. ის არწმუნებს მოსკოვის აგენტს, რომ ის «დღევანდელ საქართველოს არ გადაუდგება» და ჰპირდება პირად ნახვის დროს გააგებიოს თუ «რა საქმით მოხერხდება ეს». ეს საქმეც ჩქარა დაიწყო, ყალბი ჩერვონცები გამოგორდა... თუ ასეთია ეს ვაჟბატონი, ვინ უნდა იყვნენ მისი მეგობრები და მფარველები «გუშაგი» და «კავკაზის» წრიდან, ბეცნი თუ თანამოაზრენი? ამას დაუმატებთ რომ ქარუმიძეს თავისი მიმართვა ბოლშევიკისადმი არასოდეს არ უარუყვია და საბჭოთა ერთგულება არ დაუგმია.

გეპეუ ემიგრაციაში

ნიუორკის რუსულ გაზეთ «როსია»-ში (№ 71, 12 აგვისტო) დაბეჭდილია შემდეგი:

მოსკოვში შედგა პოლიტბიუროს სხდომა სტალინის თავმჯდომარეობით. გასარჩევი საგანი იყო ბრძოლა ემიგრაციასთან. იაგოდას მოხსენების შემდეგ იქნა მიღებული შემდეგი დადგენილება:

«დაუყონებლივ მიეწეროს გეპეუს აგენტებს განაგრძონ გაძლიერებული ტემპით ბრძოლა ემიგრაციასთან. ემიგრაციის შესახები საინფორმაციო აპარატი იქნას აყვანილი უძლიერეს საქმიანობამდე. საიდუმლო აგენტების მუშაობა იქნას ჩაყენებული ისეთ პირობებში, რომ თვითეულის მოქმედება ან მოქმედების დაწყება, რაიცა მოდის საბჭოთა რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ დაუყონებლივ შეჩერდეს, ან დაუპირდაპირდეს შესაფერი ზომები. გამოინახოს შესაფერი საშვალებანი ემიგრაციის დასარღვევათ და ამ მიზნით მათ შორის იქნას გადასროლილი ასეულები, დაითესოს შუღლი ორგანიზაციებში და მიიმართონ ისინი მეთაურთა წინააღმდეგ. მიღებულ იქნას ყოველნაირი ზომები ორგანიზაციათა ცალკე წევრების სახელის გასატეხათ, განსაკუთრებით გამოჩენილი ხელმძღვანელების».

გაზეთი თავის მხრით უმატებს, რომ «ამ ჯოჯოხეთური გეგმის ადგილებზე სისრულეში მოსაყვანათ უკვე გადადებულია საბჭოთა კონსულების განკარგულებაში უამრავი კრედიტი».

ამ ცნობას განმარტება არ ესაჭიროება. აქ არის ნაჩვენები ამ დადგენილების დატა. ჩვენის ცნობით კი ასეთი დადგენილება თფილისის გეპეუში ბევრით უფრო ადრე იყო მიღებული.

პარტიაში

ამ თვის დამლევს გამოვა რუსული გაზეთი «გოლოს ბორბი», ორგანო საქარ. სოც.-დემ. მ. პარტიის საზღვარ გარეთელი ბიუროსი.

ვთხოვთ ამხანაგებს მიიღონ გაზეთში მონაწილეობა და ხელი შეუწყონ მის გავრცელებას. გაზეთის მისამართი იგივეა, რაც «ბრძ. ხმა»-სი.

თანახმად ს.-დ. ბიუროს დადგენილებისა «ბრძ. ხმა»ს დროგამოშვებით დაემატება ცალკე ფურცელი ახალგაზდა ამხანაგებისათვის. ვთხოვთ ჩვენს ახალგაზდობას მოგვაწოდონ მასალები «ბრძ. ხმა»-ს მისამართით.

წერილი რედაქციის მიმართ

დიდათ პატივცემულო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში ამ პატარა წერილს.

ეს ერთი ხანია გაზ. «თეთრი გიორგი» ჩემს წინააღმდეგ აწარმოებს ყოვლად ურიგო კამპანიას. უკანასკნელი—მე-7 ნომერი კი ყოველივე წრეს გადაცდა. ქართულ ემიგრაციაში კარგად იციან ამ ორგანოს და მისი რედაქტორის ზნეობრივი ღირებულება; ამიტომ მასთან არსებით პოლიტიკაში ჩაბმა დროს უნაყოფო დაკარგვად მიმაჩნდა; ვფიქრობდი, რომ ინსინუაციებით გულს მოიჯერებდენ და გაჩუმდებოდენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ვინაიდან შესაძლებელია, რომ ჩემი სიჩუმე ზოგმა ცუდათ გაიგოს, იძულებული ვარ ვსთქვა ორიოდე სიტყვა.

ინგლისურმა გაზეთმა, რომელსაც მე მივეცი დასაბეჭდათ ჩემი მოგონებები, თავის ფურცლებზე—ალბად სენსაციის მოხდენის მიზნით—ჩემს წერილებს შენიშვნა გაუკეთა და სთქვა, რომ თითქო მე დღესაც კომუნისტი ვიყო. ამის გამო მე ორჯერ მივმართე ტელეფონით ბერლინიდან ლონდონში გაზეთის რედაქციას და მოვთხოვე უარეყო თავისი შენიშვნა, მაგრამ ჩემი მოთხოვნა უყურადღებოთ იქნა დატოვებული. თან ჩემი წერილები რედაქციამ იმდენად შესცვალა და თავისებურად გადააკეთა, რომ მისი ცნობა მისი ავტორისათვისაც საძნელო გახდა. ამ ორმა გარემოებამ იძულებული მყო შემეწყვიტა შემდეგი წერილების მიცემა და შემეჩერებია ჩემი მოგონებების ბეჭდვა. «თეთრმა გიორგიმ ხელი ჩასჭიდა ინგლისურ გაზეთის შენიშვნას და ყოველივე რიგიანობას მოკლებული კამპანია გააჩაღა ჩემს წინააღმდეგ.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა განვაცხადო, რომ მე კომუნისტობასთან და კომუნისტურ პარტიასთან ყოველივე კავშირი გავსწყვიტე საბჭოთა სამსახურის დატოვების პირველ დღიდანვე. მე კომუნისტი ვიყავი მანამდე, სანამ სრულის გულწრფელობით მჯეროდა, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ქვეყნისა და ხალხის წარმატების საქმეს ემსახურებოდენ. მაგრამ როგორც კი წინააღმდეგში დავრწმუნდი, როგორც კი ჩემთვის აშკარა გახდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება და სტალინის ყმათ ქცეული კომუნისტური პარტია ქვეყანას,—მუშებს, გლეხებს და საერთოდ მთელ ხალხს—უფსკრულისა და სრულ ფიზიკურ მოსპობისაკენ მიაქანებენ, იმ დღიდანვე კომუნისტის მაძღარი ცხოვრება გავცვალე ემიგრანტის მშიერ ცხოვრებაზე, ჩავდექი ემიგრაციის რიგებში და ამიერიდან ჩემი არსებობისა და მოქმედების ერთად ერთი მიზანია მთელი ჩემი შეძლებითა და მცირე ძალით ვებრძოლო ჩემი სამშობლო ქვეყნის ოკუპანტებს და კომუნისტურ პარტიას. მე უკვე ჩავები ამ ბრძოლაში, და ეს ამბავი «თეთრი გიორგი»-საც კარგად მოეხსენება.

მაშ რა უნდა ჩემგან «თეთრი გიორგი»-ს და მის რედაქტორ ბ ნ მ. წერეთელს? მათი წრეს გადასული და უღირსი კამპანია ჩემს წინააღმდეგ ორში ერთით აიხსნება: ან იმით, რომ მე, ჩამოვცილდი რა კომუნისტებს, მათთან არ მიველი და მათ რიგებში არ ჩავდექი; ან კიდევ იმით, რომ ძალიან ბევრი რამ ვიცი, როგორც «თეთრი გიორგის» ზოგიერთ წევრებზე, ისე მათ ორგანოს «პატრიოტ» რედაქტორზე. ამიტომ ისინი წინდაწინვე ცდილობენ ჩემი სახელის გატეხას, მაგრამ ამაოა ყოველივე მათი საამისო ჭაპანწყვეტა: ფაქტები ინსინუაციებით არ გაბათილდება.

რამდენი ჭორებიც არ უნდა ავრცელონ ჩემზე იმ «სასახელო» ქართველმა სტუდენტებმა (თუ საჭირო იქნება მათ სახელსა და გვარებსაც დავასახელებ), რომელიც ძილიდან საღამომდე ატუზული არიან «პოლპრედსტვოს» საფინანსო განყოფილების კარებთან «დახმარების» მისაღებათ, ისინი მაინც ვერ დამალავენ თავიანთ სამარცხვინო საქციელს. ყველამ იცის და მათ შორის ყველაზე უკეთ «პოლპრედსტვომ», რომ ეგ სტუდენტები «თეთრი გიორგი»-ს წევრები არიან. ცხადია, რომ ჩეკის აგენტები კაპლანი და გირშველდი ამ სტუდენტების უანგარო ხელის გამწყობნი არ არიან და გაცემულ დახმარებაში სამაგიერო სამსახურს მოითხოვენ.

რაც შეეხება ბ-ნ მიხ. წერეთელს—«თეთრი გიორგი»-ს რედაქტორს—ყველამ იცის აქ ბერლინში, რომ ეს «პატრიოტი» დათიკო წერეთლის აქ ყოფნის დროს, რომელიც სხვათა შორის ამიერ კავკასიის ჩეკის აგენტიც იყო, დილიდან საღამომდე თავისი ვაჟით მის სახლში იჯდენ და მსუქან სადილ-ვახშმებს მიირთმევდენ. ყველას კარგად მოეხსენება ბ ნ მ. წერეთლის ენაწყლიანობა: პირველ შემხვედურს დაწვრილებით გადმოულაგებს ყველა ჭორს და მართალს. ჩეკის აგენტი დ. წერეთელიც მოხერხებულად სარგებლობდა ამ მისი ენაწყლიანობით, და ამიერ-კავკასიის ჩეკას მისგან გაგონილითა და გაგებულით კვებავდა. ნუ თუ ამას ვერ ამჩნევდა ბ-ნი მ. წერეთელი, ნუ თუ მან არ იცოდა, რომ ბოლშევიკები უანგაროთ ლუკმა პურს არავის წაუტეხენ?!. ან განა იმ ხშირ შეხვედრებისათვის, რომელიც ბ-ნ მ. წერეთელს ქონდა ბ-ნ დ. წერეთელთან, საკმარისი და გასამართლებელი საბუთია ის გარემოება, რომ «პატრიოტი» მ. წერეთელი და ჩეკისტი დ. წერეთელი ორივე წერეთლები არიან?!.

სამწუხაროა, რომ სხვის თვალში ბეწვის მაძიებელნი თავის თვალში დვირეს ვერ ამჩნევენ.

პატივისცემით კ. კაკაბაძე.

ახალი წიგნი

ახლო მომავალში გამოვა გელას წიგნი—«ღრუბლიან დღეებში» (ლექსები და პოემები) ვლ. ბაქრაძის კრიტიკული წინასიტყვაობით. გამართულია წინასწარი ხელის მოწერა. წიგნი ღირება 8 ფრ., ხელის მოწერით კი—6 ფრანკი.

,,ბრძოლის ხმის'' ექსპედიციისაგან

«ბრძოლის ხმის» გამოწერა შეიძლება
ამხ. პ. სარჯველაძესთან შემდეგი მისამართით:
M-r P. Sardjveladze
9, rue Seguier 9. Paris (6)

Arpajon— Imprimerie de *La Gazettede Seine-et-Oise.*

Le Gérant : René Toussaint.